



ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru



№392 (451) 20-27 დეკემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააჟი შანიძე



გულბაათი რსხილაძე: რუსული პროკაბანდის აბსურდულობის შესახებ 88.2



რაზო ჩხეიძე – 90 იქნებ მომღვწეო ნელს გაინს... 88.5



როდესაც „გულაჩუყება“ სირებგნეში ჩასადგურებით დაღატისკენ იბილიკებს სვლაბეზს, ანუ... 88.4



ჰემლეტ ზიპაშვილი: პრემიერის დანაპირებმა „კეთილდღეობამ“ მოქმედება დაიწყო 88.3



გიორგი კვირიკაშვილი: აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ნამდვილად არის ადამიანი, რომლითაც ყველამ უნდა ვინაზაყოთ! 88.7

ვახტანგ დავითაია ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავსაყოფად 88.6




„ჩარლი ჟაბა, ჯერალდინა, და შენ იტოცხლებ...“ – ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილს 88.8



ბრუკანეფიურარ მიულერის სიზმარი და დაღონებული შვირლიში 88.7



აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარს ყოველდღიურად 1500-მდე მოქალაქე კვეთს 88.7



ეს ბიჭი აღარ არის...თავხელი მკლლის ქმედებას შეენირა – რატომ ხდება ხალხისთვის ზებრა საბედისწერო გადასასვლელი 88.9

რუსული პროპაგანდის აბსურდულობის შესახებ



შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის გამარჯვება უმსხვილესი საინფორმაციო საშუალებების ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. ექსპერტები აღიარებენ, რომ ტრამპისა და კლინტონის წინასაარჩევნო მართონი, გარდა იმისა, რომ კომპრომატების არნახული რაოდენობით გამოიჩნეოდა, ასევე განსაკუთრებული აღმოჩნდა მასმედის მხრიდან ორიდან ერთ-ერთი კანდიდატისადმი (კერძოდ, ჰილარი კლინტონისადმი) მიკერძოებულობით. მაგრამ ამერიკულ "მეინსტრიმულ" მასმედიას დაახლოებით იგივე დაემართა, რაც, დავუშვათ, გვიანდელი საბჭოთა კავშირის სატელევიზიო პროგრამა "ერემიას" ან გაზეთ "პრავდას", როდესაც მათი პროპაგანდა უკვე ვეღარ ახდენდა ხალხზე უწინდელ ზეგავლენას, ხალხი კი ალტერნატიულ ტელეგადაცემებსა და გაზეთებს მიუძღვნა.

ამერიკელი ამომრჩეველიც სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალი სტილის მასმედიას; საზოგადოებაში ცვლილებების სურვილი ისე დიდია, რომ ე. წ. პოლიტიკური კორექტულობა რიგითი ამერიკელისთვის ნაკლებად საინტერესოა. სწორედ ამ ვითარებას ვერ აულო აღლო ბიუროკრატია და ამ ბიუროკრატის მხარდამჭერმა მასმედიის ძირითადმა ნაწილმა. სამაგიეროდ, აშშ-ში თანდათან ძალას იკრებს ალტერნატიული მასმედია. მაგალითად, საზოგადოების სულ უფრო მეტი ნდობა აქვს ინტერნეტრესურს Breitbart News-ის მიმართ, რომელიც მხოლოდ მიმდინარე წლის ოქტომბერში 37 მილიონი მკითხველითა და 240 მილიონი ნახვით შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმატებულ საინფორმაციო პორტალად იქცა.

"ბრაიტბარტი" თავისი დამაარსებლის, 2012 წელს 43 წლისა ინფარქტით გარდაცვლილი ენდრიუ ბრაიტბარტის სახელს ატარებს. დღეს ამ მასმედიას სათავეში სტივენ ბენონი უდგას, რომელმაც მოახერხა "ბრაიტბარტის" პოპულარიზაცია. ბენონი აგვისტოდან სათავეში ედგა ტრამპის საარჩევნო შტაბს, მაგრამ, ამასთანავე, ისევე დაპირისპირებული რესპუბლიკური პარტიის "მეინსტრიმულ" ნაწილთან, როგორც დემოკრატიულ პარტიასთან. ბენონის პოზიციის არსი მდგომარეობს "ამერიკული ისტეპლშემენტისა და პერმანენტული პოლიტიკური კლასის, ისევე, როგორც მისი მხარდამჭერი გლობალური ელიტის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაში". ბენონი მიუთითებს ტრანსატლანტიკურ ელიტაზე ამერიკასა და ევროპაში, ამიტომაც "ბრაიტბარტი" სულ მალე გაფართოვებს აპირებს ევროპის კონტინენტზე, იგი აღარ იქნება მხოლოდ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი სააგენტო. ეს ყველაფერი ხდება ევროპული მეინსტრიმული მასმედიის შესუსტების ფონზე (წინა სტატიაში უკვე ვახსენებ, რომ "შპიგელი" და არა მხოლოდ იგი, შტატებს მასობრივად ამცირებენ, რადგან მცირდება მათი ტირაჟები; ზოგ შემთხვევაში, იგივე ეხებათ ტელევიზიებსაც). ამიტომაც "შეფოთებული ვერობა", უფრო სწორად, შეფოთებული ევროპული ბიუროკრატია კიდევ უფრო შფოთავს. "ტრამპის ფეკტი" – ასეთი მოლოდინის წინაშე არიან

ევრობიუროკრატები. მათ ძალზე აშინებთ ე. წ. არასისტემური ოპოზიციის (განსაკუთრებით – ძლიერი ევროსკეპტიკოსები საფრანგეთში, პოლანდიასა და გერმანიაში) შესაძლო ტრიუმფი, მაგრამ ევროპული "მეინსტრიმული" მასმედიაც ჯერჯერობით ისეთსავე მოუქნელობასა და სიჯიუტეს ავლენს, როგორსაც ამერიკული ავლენდა ტრამპი-კლინტონის პაექრობისას. ევროპული პრესა განაგრძობს მოვლენების ცალმხრივ, ტენდენციურ გაშუქებას – მეტწილად ევროსკეპტიკოსების ლანძღვით არის დაკავებული. შესაძლოა, ასეთმა მოუქნელობამ უკუეფექტი გამოიწვიოს და გალანძღულ ევროსკეპტიკოსებს დიდი პოპულარობა მოუხვეჭოს. არ არის გამორიცხული, ევროპელმა ამომრჩეველმაც შეცდომაში შეიყვანოს სოციოლოგები და სურბრიზი მოუშალოს თავის ელიტებს, როგორც ეს შეერთებულ შტატებში მოხდა, როდესაც ბევრი ამომრჩეველი მხარს უჭერდა ტრამპს, მაგრამ ამას, უბრალოდ, მაღაფლა. შესაბამისად, სოციოლოგებს ექმნებოდათ არასწორი სურათი და უმრავლესობა კლინტონის გამარჯვებას ვარაუდობდა (თუმცა, რა თქმა უნდა, სოციოლოგიაც "მეინსტრიმშია" მოქცეული და მასმედიასავით ტენდენციურობას ავლენდა მთელ რიგ შემთხვევაში).

საქართველოშიც იყო და ჩვენ სულ არ გვიკვირდა ასეთი სურათი, როდესაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩეველი არ ამხელდა, რომ ხმის მიცემას ოპოზიციური "ქართული ოცნებისთვის" აპირებდა. ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტთა 40 პროცენტზე მეტმა არ გააკვირვებია, ვისთვის აპირებდა ხმის მიცემას. ეს უზარმაზარი რაოდენობაა. აქედან გამომდინარე, ვივარაუდეთ, რომ "ქართული ოცნება" გაიმარჯვებდა და ასეც მოხდა. უნდა ითქვას, რომ 2012 წელს ქართული მასმედიის ძირითადი საშუალებები "ნაციონალურ მოძრაობას" უჭერდნენ მხარს და ბიძინა ივანიშვილმა ტრამპზე უფრო ადრე შეძლო არჩევნების მოგება მასმედიის ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ უადრესად მცირერიცხოვანი, არასტანდარტული მედიასაშუალებების დახმარებით.

რას ვიფიქრებდით 2012 წელს, რომ 2016 წლის ამერიკაში ისეთივე ბრალდებები იქნებოდა წაყენებული გამარჯვებული ძალის მიმართ "მეინსტრიმული" ჟურნალისტებისა თუ კომენტატორების მხრიდან, როგორც იმუამინდელ საქართველოში ისმოდა და დღესაც ისმის. ვგულისხმობ "რუსული პროპაგანდის" ბრალდებას. ნაცებმა საზოგადოება, უბრალოდ, შეაწუხეს ამ ტერმინით, მათი დამარცხება 2012 წელს და ახლაც თურმე "რუსული პროპაგანდის" ბრალი ყოფილა, ისევე, როგორც აშშ-ში ტრამპის შტაბს სდებდნენ ბრალს კრემლთან კონტაქტსა და რუსული პროპაგანდისტური ხაზის გატარებაში. არადა, რუსეთი, უბრალოდ, შორიდან აღდევნებს თვალყურს მიმდინარე პროცესებს და საერთოდ არ ერევა ამერიკის საშინაო პოლიტიკაში, ისევე, როგორც არ ჩარეულა საქართველოს 2012 წლის ან მით უფრო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში...

...თუკი "რუსა თუღის" სულ უფრო მეტი ამერიკელი და ევროპელი მაჭურბელი ენდობა, ხოლო "სი-ენ-ენის" მიმართ ნდობა იკლებს, ქართულ რეალობაში უფრო მეტი აღამიანი ენდობა რუსეთის ტელევიზიებსა და ნაკლებად – "რუსთავი 2"-ს. ეს მითიური რუსული პროპაგანდის ან საქართველოს ხელისუფლების ბრალი კი არა, საკუთრივ მიკერძოებული მასმედიის ბრალია. შესაძლოა, არც რუსულ მედიასაშუალებებში აშუშებან მხოლოდ სიმართლეს და, სამწუხაროდ, მართლაც გვიწევს ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს ერთგვარი საინფორმაციო ომი, დაბრალს სერგ-დასავლეთის საინფორმაციო ომისა, მაგრამ ისევე და ისევე ხალხს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის არჩვიის თავისუფლება და არაპის აქვს უფლება, შეუზღუდოს მას არჩვიანის საშუალება, საიდან მიიღოს ინფორმაცია...

არადა, დასავლეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა პირი თუ ორგანიზაცია საქართველოში კვლავ ცდილობს ამ შეზღუდვების განხორციელებას. დრო და დრო ისმის მოწოდებები, დაეუბრუნდეთ ავანტიურისტ იაკობაშვილის მიერ 2008 წელს შემოგდებულ იდეას და ისევე აკრძალეთ რუსული ტელეარხების ჩვენება ქართული საკაბელო ქსელების საშუალებით. მეტიც, გამოჩნდნენ საზოგადოებისთვის ვიღაც სრულიად უცნობი სუბიექტები, რაღაც გაუგებარი აბრევიატურების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე რუსული არხებით არ შემოიფარგლებიან და მთელი რიგი ქართული გაზეთების (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, "საქართველო და მსოფლიოს") და ტელეარხს "ობიექტივის" შეზღუდვას მოითხოვენ. მათი "კვლევის" შედეგად ეს მედიასაშუალებები დისკრედიტაციას უწევენ დასავლეთს, რითაც თურმე რუსულ პროპაგანდას ეწვეიან. მასმედიის გარდა, "მეკვლევარებს" არ მოსწონთ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთთან მშვიდობას, მეგობრობასა და ჰარმონიულ თანაცხოვრებას მოითხოვენ და ამას პროფესიონალურ დონეზე ასაბუთებენ. ასეთი ორგანიზაცია ჩემს მიერ 2009 წელს დაარსებული "ვერაზიის ინსტიტუტია". "მეკვლევარებს" ჯერ კიდევ შარშან წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები, თითქოს მე შევქმენი ორგანიზაციების ქსელი და ეს ქსელი ემსახურება რუსეთის ინტერესებს. ამ სისულელეს ტირაჟირება გაუწია "რუსთავი 2"-მა, მაგრამ არავინ მოსულა ჩემთან არც "რუსთავი 2"-იდან, არც სხვა "ნაცურთ" მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, პირველ წყაროს საშუალებით რომ გადაემოწმებინათ ფაქტები. მაგრამ მათ რას ვერჩი, როდესაც თვით "მეკვლევარები" არ დაინტერესდნენ თავიანთი საკვლევი ობიექტით და არ მოგვაკითხეს ინფორმაციის მისაღებად. რა თქმა უნდა, მათ განსაკუთრებით ჩვენი დაფინანსების წყაროები აინტერესებთ და, ვინაიდან ჩვენს ვებგვერდზე ეს ინფორმაცია ვერ მოიპოვებს, შორს მიმავალი დასკვნები გააკეთეს. მთლიანობაში კი მათი ე. წ. კვლევა უხარისხოა და შეცდომაში შეჰყავს დასავლელი დამკვეთები (ჩვეულებრივი

ქართული "ხალტურა", რომლის წინაშე დასავლეთიც უძღვრია), რადგან თითქმის ყველა დასკვნა ჩვენი ვებგვერდის გარეგნული დათვალიერების შედეგად კეთდება. უწინ საიტზე "საქართველო და მსოფლიოს" ბანერიც გველო და ამ ფაქტის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, თითქოს ჩვენი ორგანიზაცია და ეს გაზეთი ერთი ქსელის შემადგენელი ნაწილია.

სამწუხაროდ, "რუსთავი 2"-ის დონეზე დასული ტელეკომპანია "ჯიდივისიც", როდესაც საქმე ეხება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. მეტიც, როდესაც ჩვენი ინსტიტუტის ძალებით გადაღებული დოკუმენტური ფილმი "გურჯისტანის ვილაიეთი" გავუშვეთ ინტერნეტის საშუალებით (რა თქმა უნდა, არც ერთი ტელევიზია ამ ფილმს ეთერში არ უშვებს, მათ შორის, "ქართული არხი", რომელსაც ერთი მღვდელი უჩის სათავეში დირექტორად, ასეთ მღვდელს უფრო პუშკინისეული ტერმინი – არა შეესატყვისება, ჩემი აზრით), "ჯიდივისიც" შეშფოთებულია წამყვანმა პირდაპირ "დაკითხვაზე" დაიბარა ჩვენი ფილმის ერთ-ერთი რესპონდენტი – აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძე, – როგორ შეიძლება, ბატონო გიგლა, ასეთ ფილმში მონაწილეობა, სადაც ჩვენი მეზობელი თურქეთის პოლიტიკის კრიტიკა ისმისო?! აი ეს არის ქართული "ჟურნალისტიკა", თვითონ ბითურები მთელი საზოგადოების გაბითურებას ცდილობენ – რუსეთთან პოზიტივების ძიება არ შეიძლება თურმე, მაგრამ არც თურქეთის პოლიტიკის გაკრიტიკების უფლება გვექონია.

საქართველოსა და რუსეთის ინტერესები, მიუხედავად სააკაშვილის მიერ ხელფენურად შექმნილი საშინელი პრობლემისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა, მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს. ესაა ტრადიციული ფასეულობების დაცვა, ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლა, ჩვენი სამხრეთი ფლანგის დაცვა, რაც, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის უსაფრთხოებას სჭირდება... აი, ყოველივე ეს არის რეალური ეროვნული ინტერესი და რატომ არ უნდა დაფინანსოთ, რომ ეს ჩვენი ეროვნული ინტერესი თანხვდება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს?! მხოლოდ იმიტომ, რომ მითიურ რუსულ პროპაგანდაში დადანაშაულების უნდა გვეშინოდეს?! ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!

გულბაათ რცხილაძე



პრემიერის დანაპირებმა „კეთილდღეობამ“ მოქმედება დაიწყო

„ქვეყნის სწრაფი განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა“ ჰქვია იმ პროგრამას, რომელიც პრემიერ-მინისტრმა კვირიკა შვილმა მთავრობის სხდომაზე გააუქმრა. მის მიხედვით, აიკრძალება Online-სესხების გაცემა; მომავალი წლის იანვრიდან 100 000 ლარამდე სესხის გაცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში განხორციელდება; თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებზე აქციზები გაიზრდება; გაიზრდება ავტომობილებზე იმპორტის გადასახადი. ამავდროულად, მთავრობა 10%-ით შეამცირებს სახელფასო ბიუჯეტის ფონდს და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

პრემიერმა თქვა, რომ რადიკალური ცვლილებების გარეშე სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ვერ მოხერხდება. რეაქცია პრემიერის გეგმებზე:

„გამოდის, სახელმწიფომ ბანკს უნდა დაუდგინოს – რამდენ პროცენტში გასცეს სესხი, რაც დაუშვებელია. მთავრობას არ აქვს გაანალიზებული, რა შედეგი მოჰყვება ამას. დედოფალიზაციის გეგმა კი არის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა.“ – კომპანია „პირადი ბანკირი“-ს აღმასრულებელი დირექტორი ბპრძმნაპმ.

„დედოფალიზაცია უდიდესი შეცდომაა. მისი გადაწყვეტის გზაც ასევე შეცდომაა და შედეგები იქნება უარესი. ღარი, როგორც დამოუკიდებელი ფულადი ერთეული, არავის სჭირდება. არავის აქვს მინიჭებული ნება, რომ ადამიანებს შეუზღუდოს უფლება გამოიყონ ის ვალუტა, რომელიც მას სჭირდება. მსგავსი რამ მხოლოდ დიქტატორულ სახელმწიფოში შეიძლება მოხდეს.“ – ახალი ეკონომიკური სკოლის“ დირექტორი შმშშშშშშ.

„ეს რეალურად პოპულისტური საუბარია. ფიქრობენ, რომ ბევრი ადამიანის გულს მოიგებენ ასეთი განცხადებებით. ვერანაირი ტიპის ბიზნესის აკრძალვა სიმდიდრეს ვერ მოიტანს.“ – ეკონომისტი ხორბუაშვილი.

„რაც გააკეთეს უმსხვილესმა მთაბაშეებმა, ამის გამო უმწვავესად და უმკაცრესად უნდა მოეთხოვოთ მათ პასუხი. ეს იყო ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება და ამის გამო ისინი უნდა დაისაჯონ. რაც გააკეთა, იყო მოქმედება ხალხის წინააღმდეგ. ეს ცდილობდა ეროვნული ბანკის ფარგლებს და სამართალდამცვეები უნდა დაინტერესდნენ.“ – ეკონომისტი, „საზოგადოება 20/30“-ის წევრი ღუნღუნა.

ყველა უარყოფითი გამოხატუებების მოყვანა შეუძლებელია. დადებითი – მხოლოდ მთავრობას მიწვეებული ე.წ. ეკონომისტების მხრიდან ისინი. მათ შორის უმრავლესობის წევრი კოვჩანაძეცაა. მისი თქმით, ემოციები უკვე ჩაცხრა და ყველაფერი რიგზეა ანუ მთავრობას შეუძლია გეგმა ცხოვრებაში გაატაროს.

ეჭვი მეპარება, რომ ემოციები ჩაცხრა. კოვჩანაძეს რახანია ბაზარში არ გაუგლია, არც რიგით მოქალაქეებს შეხვედრია. შავი ჯიპის ფანჯრებიდან კი არ ჩანს მათი აღმშოთება – გამოხატული პრემიერის დედის ხშირ სესხებაში, ივანიშვილის წევრულ-კრულვაში, „ოცნების“ ლანდლა-გინებაში, რაც მოსალოდნელი ქარიშხლის მსგავსი ვითარების სადარია.

პრემიერ კვირიკა შვილს, ისევე, როგორც მის ბოსს ივანიშვილს ჰგონია, რომ თვალთმაქცური ღოზუნგი – „ქვეყნის სწრაფი განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა“ – საწვავზე ფასების მომატებაზე არის მიბმული. ნუთუ ასეთი ბრიყვია პრემიერი, რომ ზემომოყვანილი ღოზუნგი ხალხს მოატყუებს?

მან კარგად იცის, რომ ღოზუნგი – არც საკვებს იძლევა და არც სასმელს, თუ ის ცხოვრებისეულ და ცხოვრებისთვის

საჭირო ნაბიჯს არ გულისხმობს. ასეთად ნამდვილად ვერ ჩათვლება საწვავზე ფასების მატება, სხვა არაპოპულარული გადასახადების დაწესება.

„საწვავის ზრდა არ გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას“, – ამბობენ „ოცნებელები“ და თვითონაც არ სჯერად თავიანთი ნათქვამის. გამოიწვევს და მერე როგორ! კრების პროდუქტებიდან დაწვეული, პირველადი მოხმარების საგნებით დამთავრებული. უკვე ლაპარაკობენ სამარშრუტო ავტობუსებზე მგზავრობის საფასურის ერთ ლარამდე გაზრდაზე.

მოიმბატებს „მარშრუტკა“, მოიმბატებს საქალაქო ტრანსპორტი, გაიზრდება ტვირთების გადაზიდვის ფასები, გაიზრდება ტრანსპორტირების ხარჯები – გაიზრდება პროდუქტების ფასებიც და ა.შ. ესეც დანაპირები – „კეთილდღეობა“.

პრემიერის მიხედვით, ღარი უნდა გამყარდეს, თუმცა ბრძანებით და მისეული გეგმით ღარი ვერ გამყარდება. გამყარებისთვის გადაუდებელი ღონისძიებებია გასატარებელი, მათ შორის საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. გეგმის მიხედვით, შემცირება მხოლოდ 10%-ს ითვალისწინებს. არადა რეალობა მეტს მოითხოვს. სახელმწიფო ორგანოების შემცირება არის ერთ-ერთი გზა. სამწუხაროდ მხოლოდ ერთის, დიასპორის სამინისტროს გაუქმების ნაცვლად, მინიმუმ 3-4 სამინისტროა გასაუქმებელი, ასევე საზღვარგარეთ არსებული საქართველოს ზოგიერთი დიპლომატიური წარმომადგენლობაც.

შესამცირებელია დარჩენილი (შემცირების შემდეგ) სამინისტროებისა და უწყებების საშტატო ერთეულებიც. გასაუქმებელია სახელფასო დანამატები და პრემიები. სასწრაფოდ შესატანია ცვლილება კონსტიტუციაში პარლამენტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. პარლამენტი თბილისში უნდა იყოს და ეს პარლამენტის პირველხავე სხდომაზე უნდა გადაეწყვეტა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსულ „ოცნებას“.

არ გადაწყვიტა. საკონსტიტუციო კომისიას შეექმნი, ამ და სხვა საკითხებს ერთად განვიხილოთ – თქვა მან. მაშინ, ვიდრე საკონსტიტუციო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, „ოცნების“ შემქმნელმა ივანიშვილმა დაფაროს ის ხარჯები, რომელიც უაზროდ, უყიარათოდ იფლანგება ქუთაისში პარლამენტის არსებობაზე. ივანიშვილმა დაფაროს თითო დეპუტატზე თვიურად გამოყოფილი 800 ლიტრი ბენზინის თანხები, სხვა ხარჯები, რომლებიც ქუთაისში ბინის დაქირავებაში და წვრილმან-მსხვილმან საქმეში იხარჯება.

ქუთაისში პარლამენტის გადატანა სააკაშვილის ახირებული იდეა იყო და ამ ქალაქის არავითარ განვითარებასთან არ იყო დაკავშირებული. სააკაშვილს არ სურდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგების ხილვა რუსთაველის პროსპექტზე – პარლამენტის შენობის წინ. ეს იყო და ეს. სხვა მიზანი მას არ ჰქონდა. როგორც ჩანს არც „ოცნებას“ აწყობს პარლამენტი თბილისში იმავე მიზეზით და სააკაშვილის მსგავსი შიშით.

ღარის გამყარებას უპირველესად – ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება სჭირდება, რაც ჩანასახშიც არ ჩანს. ნაცვლად ამისა ივანიშვილი 200-მილიონიან საკონცერტო დარბაზს აშენებს შეკვეთილში, „პანორამა თბილისს“ – ქალაქის ძველი უბნის თავზე, ხეებს თხრის და თავის შეკვეთილის ბაზნაში რგავს. ფულს ფლანგავს იმაში, რაც ქვეყანას და ხალხს არ წაადგება. საქართველომ უნდა აწარმოოს და საქესპორტოდ გაიტანოს საქონელი, რომელიც იქ გასადდება. და თუ გასადდება, ღარსაც სასიკეთოდ დაეტყობა. მაგრამ, როდის შეიძლება ამას ქვეყანა, რომელსაც გამოუცდელი არაპროფესიონალები მართავენ?

ქვეყანამ უნდა მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რაც ასევე იმოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტზე. მაგრამ, როგორ მოხიბლავს ინვესტორს ხელისუფლება, როდესაც ესოდენ უმწიფარ ეკონომიკურ რეფორმას სთავაზობს საკუთარ ხალხს? მსგავსი შეთავაზება, უფრო სწორად

ბრძანება, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სახალხო აჯანყებას გამოიწვევს. ხალხი ქუნაში გამოვა და მთავრობასა და პარლამენტს კინწისკერით გაყრის. აქ ეს არ ხდება. ხალხი ყველაფერზე თანახმაა. იყვირებს და განერდება. სწორედ ეს აღნიშნა კოვჩანაძემ. სწორედ ამას ვარაუდობდა ხელისუფლება, ვიდრე გეგმას გააუქმებდა, მაგრამ უცხოელმა ინვესტორმა ხომ არ იცის საქართველოს მოსახლეობის დაბნელებული სულისკვეთების შესახებ? მას ჰგონია, რომ აქაც ისეთივე ხალხია, როგორც იქ და ქუნაში გამოვა. ბიზნესს კი შფოთი, რევოლუცია არ უყვარს.

ღიახ, ჩვენც ისეთივე ვართ, როგორც ისინი – ორი ხელით, ორი ფეხით, ერთი თავით, სხეულის სხვა ნაწილებით, მაგრამ მსგავსება ამით თავდება. მათ სხვა აზროვნება აქვთ, ჩვენ სხვა. ისინი იცავენ საკუთარ თავს. ჩვენ არც კი ვიცით, როგორ დავიცვათ. მათი პროტესტი – სოციალური ხასიათისაა – მეტადრე, ჩვენ – სოციალურზე მიტინგის მოწყობა გვეთაკილება, რითაც აქაურ პოლიტიკოსებს ვათქმევინებთ ხოლმე – ქართული პურისთვის არასდროს გამოვა ქუნაში საპროტესტოდ. სამათხოვროდ ხომ გამოდის?

იქნებ სწორედ პოლიტიკოსთა უცოდინრობის შედეგია, ქართველი რომ სოციალურ პროტესტს არ აწყობს?!

რომელი ბიზნესმენი ჩადებს საქართველოში ინვესტიციას, როდესაც წამდაუწუმ ისმენს ვაიპოლიტიკოსთა განცხადებებს რუსეთის არარსებულ აგრესიასთან დაკავშირებით?

წავლენ უცხოეთში ხელისუფლება-ოპოზიცია და იქაურთა თავის შესაცოდებლად საჯაროდ გაჰყვირიან – გვიშველეთ, რუსი გვიტყვოს. ისინიც თავზე ხელს გვისვამენ, გვამშვიდებენ და თვითონაც ყვირიან – რუსეთი ავიწროვებს საქართველოს. მათი მიზანი – რუსეთის გაშავებაა. ჩვენიც – ასევე. მაგრამ მათი მიზანი გამართლებულია. ჩვენი – გაუმართლებელი, ვინაიდან რუსეთის აგრესიით დაშინებული ევროპელი ფულს არ გვიდებს, საწარმოს არ გვიშენებს, ხალხს არ გვისაქმებს და ა.შ. ნუთუ ძნელია იმის მიხედვით, რომ პროუკაციული წივილ-კივილი ისევ ჩვენ გვიბრუნდება ავად?

ხელისუფლებაში მყოფნი სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას უნდა ფლობდნენ. რიტორიკა არ მაქვს მხედველობაში. რა და რის თქმა შეიძლება, თან როდის, მაქვს მხედველობაში. კვირიკაშვილმა რაც თქვა – იყო სხვასთან (მხედველობაში ეკონომისტები და ფინანსისტები მყავს) შეუთანხმებლად. გარდა ამისა საჯაროდ არ იყო განხილული და შეჯერებული. ასე, ის ხელისუფლება იქცევა, ვინც დარწმუნებულია საკუთარი, თუნდაც მცდარი, მავნე პროგრამის იოლად გატანაში.

რა ჰქვია ამას, თუ არა ხელისუფლების დიქტატი?! ანუ ახლა იმათი ვარაუდი, ვინც არჩევნების დამთავრებისთანავე აცხადებდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა – ერთპიროვნული მმართველობის ტოლია.

– არაო! – აცხადებდნენ „ოცნების“ გულშემბატკიერები, მაგრამ პირველივე ნაბიჯები ახალი ხელისუფლებისა გვაფიქრებინებს ამას.

კვირიკაშვილმა მოილაპარაკა რა თავის მინისტრებთან და კიდევ იმასთან, ქვეყნის რეალური მმართველი რომ ჰქვია და უსურთოხუფელი საკითხი გაასაჯაროა – თანაც მენქორული ტონით – ვითომ „კეთილდღეობისთვის“. იაფფასიანი უმეცრება ძვირი გამოდგა სწორედ იმ ხალხისთვის, ვისთვისაც „მოწამებრივად“ „მოღვაწეობს“ პრემიერი.

მარტივად რომ ვთქვათ, კვირიკაშვილის დაუფიქრებელია ნათქვამმა ღარიც დაწიხლა – კატასტროფული გაუფასურების თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე ღარზე ძალაუნებურად ჩამოკიდებული ხალხიც – სწორედ ის, ვისი „კეთილდღეობაც“ მიზნად აქვს პრემიერს დასახული.

ზოგჯერ თქმას, ართქმა სჯობს –

ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. თქმასა და განხორციელებას შორის დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდი ზღვარია. დიქტატორულში – მოკლე. ბრძანებ და გაკეთდება. რა სჯობს ასეთ ქვეყანას, სადაც ზემდგომის ბრძანება ქვემდგომთა მიერ უყოყმანოდ სრულდება. ხალხი? კოვჩანაძისა არ იყოს – იყვირებს და განერდება.

პრემიერმა სამომავლო ეკონომიკურ-საფინანსო გეგმა გაავაცნო და ბრიუსელს გაუტია – იქაურ ბოსებთან შესახვედრად. არის რამე გასაკვირი ამაში? არც არაფერი. ხალხი მიეჩნია ხელისუფალთა დროსსატარებელ უცხოურ ვოიაჟებს, რომელსაც თვით ხელისუფლება და შურნალისტიკა საქმიანი მოლაპარაკებების საბურველით ფუთავს.

არ მობეზრდათ ერთი-მეორის მსგავსი შეხვედრები, მასპინძელთა ტრაფარეტული სიტყვები, ყალბი ღიმილი და მხარზე ხელის მოთათუნება და რაც მთავარია საკუთარი ხალხისთვის მტერის შეყრა თვალში?

ეს ვიზიტიც ხომ ამ საქმეს ემსახურება და კიდევ იმას, ვიზიტორის გუნება-განწყობილების გალადება რომ ჰქვია! უკაცრავად, შემეშალა, ვიზიტორის კი არა ვიზიტორების. კვირიკაშვილმა ლამის ნახევარი მინისტრთა კაბინეტი, მინისტრების და მათი თანაშემწეების, პირისფარეშების სახით წაასხა ბელგიას. ძვირი ღირს მხოლოდ რიცხვში მაღალი კლასის ვიზიტი. მრავლობითზე ხომ ლაპარაკიც უტემეტია, მითუმეტეს ისეთი ბიუჯეტგადღევილი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

მარტო ამ ვიზიტიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, სიცრუედ მოგეგნებათ კვირიკაშვილის ფიცი საბიუჯეტო ფულის ფართათიანად ხარჯვასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს საარჩევნო მართონით „გადაღლილ“ ყმაწვილებს ორგანიზმის გალადება მოუნდათ და გაილაღეს კიდევაც – ხალხს კი სერიოზული სახეებით აუწყეს ბრიუსელში ჩატარებული დიპლომატიური მოლაპარაკებების თაობაზე, რომელიც უდავოდ „გააბრწყინებს“ საქართველოს.

სხვა მინისტრებთან ერთად პრემიერს გვერდს უმშვენებდა ყოფილი ალასანიელი დოლიძე – ევროპასთან ინტეგრაციის მინისტრი. კვირიკაშვილის განცხადებით – ეს ის „პოლიტიკოსია“, რომელსაც თურმე კარგად იცნობენ ბრიუსელში. რას ნიშნავს კარგად ცნობა? კვირიკაშვილის აზრით – საქმის ჩაწყობას. ნეტავ, რა საქმე უნდა ჩაუწყოს დოლიძემ საქართველოს?

ქვეყანა ასოცირებული წევრია და ეს დოლიძის გარეშე მოხდა. ის, ვერასდროს გახდება ევროკავშირის წევრი, ვინაიდან ასოცირების ხელშეკრულებით მსგავსი რამ არ არის გათვალისწინებული. და რომც იყოს, ევროკავშირს წყალი აქვს შემდგარი. იქ მყოფები გამოსვლაზე ფიქრობენ. ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ბრიუსელი მსუყვე წერტილს სვამს გაფართოების საკითხზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სერიოზული მსჯელობაა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი ძვრებია მოსალოდნელი საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, სხვა ქვეყნებში და ეს ძვრები რუსეთის სასარგებლო იქნება. ჩვენ კი ისევ ბრიუსელისკენ ვიმზირებით, რომელმაც თვით არ იცის რას მოიმოქმედებს, როდესაც აშშ-ს ახალი პრეზიდენტი და ადმინისტრაცია დაიწყებს მუშაობას.

შეხვედრები, რომელიც კვირიკაშვილმა და მისმა „გუნდმა“ ჩატარა ბრიუსელში, ისეთივე უნაყოფო გამოდგება, როგორც ყველა სხვა, მანამდე ჩატარებული. მაგრამ მიზანი ხომ შეხვედრების ნაყოფიერება არ იყო?! მიზანი გასეირნება გახლდათ – ძვირი ფუფუნება მშვერი ქვეყნისთვის.

ჰამლეტ ჰიპაზილი,
პოლიტოლოგი

როდესაც „ბულაჩუხა“ სირებონეში ჩასაღებურებით დასაჯისკენ იბილიკებს სვლაბეზს, ანუ...

(გაგრძელება წინა ნომრიდან)
უგურების თარეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებში



ეს დღემდე ასე გრძელდება. ასე მაგალითად, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, №16-ში „მოღვაწეობს“ აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭო, რომელიც 1991 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ „ქართული“ პარტიკრატის იმდროინდელი ფაქტობრივი თავკაცის, გენერალ გივი ლომინაძის (იმხანად აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის) კაბინეტში დაზუსტებული და აგრესორ-სეპარატისტებთან შეჯერებული სიის მიხედვით „იქნა არჩეული“, და მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დევნილი ხელისუფლების სტატუსში მიაგორებს დღეებს, თავისი ბოროტმოქმედული უსაქმურობით არაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი შინაარსი გაუფინოს მოტყუებულ საზოგადოებას. ის არად დაგიდევს, რომ ამ წუთამდე, ამ ქართული მიწის „გამსხვავებულბელთა“ საქმიანობის ლაგამამოსაღებად ვერა და ვერ შეიქმნა მედგარი პოლიტიკური, სამართლებრივი, სამეცნიერო თუ სხვა შესაბამისი საპირწონე. თუმცა, საამისოდ მას გააჩნია სახელმწიფო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო ბერკეტები. ეს ყველაფერი, ქვეყანას პატრონი რომ ჰყავდეს, სათანადო სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი დაკვეთის, რაც მთავარია, სახალხო პანუსისმგებლობის არსებობის შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი სახით რაღაცნაირი საპირწონე მაინც აუჯერებოდა და ა. შ. აფხაზეთის შესახებ უმოწყალო დეზინფორმაციათა წამლეკაობას (ყოველ შემთხვევაში, მათ ეს ევალებათ). სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება და არ ხდება იმიტომ, რომ ისიც (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთი ნაწილი) ქვეყნის გამსხვისებულთა თანამონაწილეა.

ის კი არადა, სწორედ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მეზობლად და მისი წამყურებლობისგან მონაბერი ზურგის ქართულ ქ. თბილისში, ნ. კოსტავას ქ. №14-ში გამოდის ე. წ. გაზეთი „აფხაზკი-მერიდიან“, ეს ე. წ. გაზეთი, რომელიც ისეთივე „მეცნიერული“ დასკვნების საფუძველზე და იმგვარივე დიდმკვრივული სულისკვეთებით „გვათვითცნობიერებს“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს რაობაში, როგორც ამას აკეთებს აგრესორ-სეპარატისტთა ე. წ. დე-ფაქტო (სინამდვილეში ქართველთა სისხლში ხელეობებანდილი) ხელისუფლება, რომელიც მხარდაჭერილია და სამართლიანობაზე გადათხარაკებით დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა აღიარებული რსფსრ-ს მიერ. აქვე, არ შეიძლება, არ აღვნიშნო ისიც, რომ მას წლებია რედაქტორობს ერთ დროს საქართველოს კ ცკის ინსპექტორი დევი ფუტკარაძე, რომელიც იმხანად საქართველოს კ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობასაც კურირებდა და ამ უკვე „გამსხვავებულ“ „მოძმე“ ხალხის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიის

დავალებით „ხალხთა ლენინური ძმობის განსამტკიცებლად“ ყველა კომპარტიულ კონფერენციას, პლენუმს, აქტივის კრებასა თუ ზოგიერთ ბიუროს სხდომას ესწრებოდა გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, გულრიფში, ტყვარჩელსა, ოჩამჩირესა და გალში. უფრო მეტიც, აფხაზეთის კომუნისტები სწორედ მისი დასწრებით განიხილავდნენ დაზურულ წერილებსაც, რომელიც გაცნობისთანავე ნადგურდებოდა, რათა მასებს არ გადაეკლოთ თვალი მისთვის. ჰოდა, ამ კაცზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს ის, თუ რა დივერსიული ეთნოფაბრიკაციებით მიზანმიმართულად სხვისდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, როგორი აულაგამობით დათარეშობდა ამ მხარის ქართული შინაარსის აღსაგებლად აგრესორ-სეპარატისტების ეთნოკრატია, როგორი გაქვავებული გამოხედვით იჯდა მათ ფორუმებზე ეს კაცი და დღეს „გულაჩუხებისგან“ კინაღამ „ატირებული“, თვალში ნაცრის შეყრად გვიფრიალებს ე. წ. გაზეთის, რომლის ფურცლებიდან, შემთხვევიდან შემთხვევიდან, პაატა ზაქარეიშვილი, გურამ ოდიშარია და მათ მსგავსად „გულაჩუხბული“ ლიბერალტები დროის დაუკარგავად არწმუნებენ საზოგადოებას იმაში, რომ აფხაზეთთან, როგორც „მეზობელ სახელმწიფოსთან“, „კეთილმეზობლობა“ საბირო. ამისათვის ისინი, როცა ეს ხელს აძლევენ, აწვანსვენებულ ფაზილ ისკანდერის შესაბამის დებულებებსაც იშველიებენ: „– Грузины говорят об Абхазии: “Это наше внутреннее дело! Мы сами разберёмся, мы с абхазами соседи, а на Кавказе сосед – как ближайший родственник. И если к нам не лезть, то мы друг с другом договоримся всегда. А вы как считаете?“ (ახლა ეს ყველაფერი შედარეთ ბატონ ზაალ კასრელიშვილის, ამ საკითხებში ე. წ. ექსპერტის საფაზაზეთ „გულაჩუხებს“, გადმოცემულს საპატრიარქოს ტელევიზიით და დასკვნა თქვენთვის მომინდვია). „Дай бог, чтобы так. Если с обеих сторон будет такое желание, сделать это возможно и при этом обойтись без крови, войны и чьего-то вмешательства извне. Могут ли абхазы и грузины в будущем мирно жить рядом? А почему нет? Это зависит от них самих. Но лучше всё-таки, я думаю им будет не в одном государстве, а действительно, как добрым соседям. Надо уметь прощать обиды...“ (газ. „Абхазский меридиан“, 2016 г., август).

ზემოწვევით ასე, ფაზილ ისკანდერის ცბიერი „ხალხთმეყარების“ მსგავს გამოსავალს სთავაზობს ექსპერტი ზაალ კასრელიშვილი საზოგადოებას: მისთვის აფხაზეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყანაა.

ამის გასწვრივ, როდესაც შენი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, რომელსაც სწორედ ამ საკითხებში თუ მეტის არა, სულ ცოტა, სისწორის შეტანა მაინც ევალება, ის კი ლიბერალტულ თავსატეხებზე წუხს რაღვან: „Я думаю, что они были более независимыми“, ხოლო დღეს „...Они стали более зависимыми от России“, აი, ეს უვიცობა, სირვენე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სიწმინდეა შეგინება და დევნილი მოსახლეობის ზურგს უკან ქართული მამულის დახლზე შეგდება ერთბაშად.

ასეა ეს და არ ჰქვია ამას სხვა სახელი, იმიტომ ჩემთვის ძვირფას ტელევიზიას „ერთსულოვნებას“, რომელიც საქართველოს სამოციქულო ავტორეგულური დედაკვლევის სახელით მუწყებლობს შესაბამისად შევასწავლო, რომ ამ მხრივ მეტის თქმაც შეიძლება: ამ თხუთმეტოდე წლისა თუ ცოტა მეტი ხნის წინათ ტექნოკრატული დასავლეთის დაფინანსებით დაიწყო შეხვედრები ე. წ. ქართველი და „ახაზეცი“-ი უფლებადამცველების, რომლებიც პროგნამის – „ქართულ-აფხაზური თმის ასპექტების“ ფარგლებში მიმდინარეობდა (მისი მასალები გამოიცა 10 წიგნად).

ჯერ ერთი, იგი არ იყო ქართულ-აფხაზური, უფრო სწორად, ყველაფრის მი-

უხედავად, ქართულ-აფხაზური ომი არ ყოფილა ის სისხლისღვრა. ეს ერთი, მეორეც, ამ საუბრებში მონაწილე „ქართული მხარე“: თ. ხიდაშელი, დ. უსუფაშვილი, გ. ოდიშარია, თ. პაჭკორია (სოხუმელი კოლბორაციონისტები), ზ. ჭიაბერაშვილი, ე. ჯგერენია, სხვები და სხვები, ათობით წვრთნაშეუსმენელი და 30 ვერცხლნაჯიბებული „ჩვენებური“, აფხაზეთის შესახებ უფრო საგანგაშო სტერეოტიპს ამკვიდრებდა, ვიდრე ეს იყო საბჭოთა ეთნოდივერსიის ფაბრიკაციული შინაარსი. ამ მხრივ რად ღირს თინა ხიდაშელის შეხაზილი ქ. სოჭში 2003 წელს – „ბატალ, მე არ განვიხილავ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში“-ო, ან კიდევ მისი „გულაჩუხება“- „გაგრის, ამ მიწის ნაგლეჯის გამო, ხომ არ გადავიტყუებთ ყველას“-ო!?

გასაგებია, როდესაც რაღაც მოვლენას, თუნდაც საბედისწეროს ამხელ, იწუნებ ან უჯიბრებ, საზოგადოებას უკეთესი უნდა შესთავაზო და ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალიც უჩვენო უნდა.

უკეთესი კი ისაა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის გეგმა არ უნდა დაეშენოს სიცრუესა ან იმ მხარის დედანი შინაარსის დივერსიული ფაბრიკაციის გზით გადასხვაგვარებას და ასეთი გაყალბებული სახით იმპერიებისთვის სასურველი მიზნებისთვის მორგებას.

ამისათვის სახელმძღვანელო დებულებებს თვითმარქვია კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის სტრატეგიის საფუძვლად ინსტიტუციური მუშაობა საჭირო. ასეთ ძალისხმევას, როგორც წესი, სჭირდება პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადამთბრივ-ტრადიციული, სარწმუნოებრივი, სახლიკაცურ-მუშპმტეობითი, სამართლებრივ-ძალისმიერი და ა. შ. ბერკეტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება.

ამგვარ ნაბიჯს ნამეტნები არ გადადგამს, ამისათვის ერის ქულბეკაციობით ზურგმომარტებული ეროვნული ხელისუფლება გაირჯება მხოლოდ, რომელსაც ასევე ექნება პოლიტიკური მართვის, გეოპოლიტიკურ დინებებში გათვითცნობიერების, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების, ორგანიზაციული მუშაობის, მეცნიერული დასაბუთებითა თუ სხვა შესაბამისი საშუალებებით მხარდაჭერილი ძალაუფლების გონივრულად მართვის უნარი და ამაზე ააგებს ასეთ დროს აუცილებელ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ და საავტორიტეტო მუშაობას.

დიხს, აქედან გამომდინარე, ქრისტესმებრივი სიყვარულით და არა ჩასაფრებულის ავმოსურებით მინდა ვურჩიო ნებისმიერს, რა საპატო აბრის ქვეშაც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, – როდესაც საპატრიარქოს (ჩემი თაყვანი მას) ტელევიზიის ეკრანიდან მოინდომებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) თავსატეკიარის გაშუქებას (კი, ბატონო, კარგია, რომ ინდომებს-მეთქი), თუ მეტს არა, აფხაზეთზე სულ ცოტა, ილორელი (ოჩამჩირის რ-ნი) ამბროსი ხელაიას (წმინდა ამბროსი აღმსარებლის) შრომებს მაინც გაცენოს უნდა და ამის მიხედვით გუმანი თავად გაუძღვება იმ სისწორისკენ, რომლის ადაღადების გარდა, სხვა სახის მსჯელობა ამ საპატო ტრიბუნადა, სწორედაც რომ მკრეხელობაა და არა დავითვსათნო საქმე.

წუთადაყოვნება საგაკვეთილო დასკვნათა ჩასაკრიალოსნებლად: ქართული საზოგადოების მიღვევადობა არამხოლოდ ქართველთა სულადობრივ კლებაში გამოიხატება, არამედ, იგი ერის მაშინარსებელი ზნეობრივი მარაგისა და სულის მასრულყოფილებელი სახინდისო წიაღისეულის საგანგაშოდ შემცირებაშიც ვლინდება.

იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ყველა და ყველაფერი ევრო-ატლანტიკური რასიზმის მიერ პირველად გადაიშუშავებას ექვემდებარება, ანუ ხრწნადობის კონ-

ვეიერებში იტვირთება, ქართული საზოგადოებისთვის დანაშაულებრივად არაა გასაჯარისებული ის გამაშუპატიურებლობა, რომლითაც უმოწყალოდ მიმდინარეობს ქართული თავანკარობის გაწვირანება.

ასე მაგალითად, 2016 წლის 22 ოქტომბერს სოფელ მეჯვრისხევიდან ოსმა და რუსმა მეკობრეებმა გაიტაცეს ქართველი მწყემსები, რომლებსაც, როგორც ხმა გამოვიდა, შეურაცხყოფა მიაცენეს, აწამეს და ღირსება შეუღახეს.

ასეთი ოსთმეკობრეობა თუ დღევამოშვებით არა, კვირაში ორჯერ მაინც ხდება ოკუპირებული ცხინვალის მხარესთან მიმდებარე სოფლებში, მაგრამ მათი გამკითხავი, უფლებადამცავი და ხელის გამწვდენი ქართული მედია-საშუალებები ან ე. წ. არასამთავრობოები იშვიათად, უფრო სწორად, ვერ ვისხენებ, რომ არიან.

სამაგიეროდ, ამავე წუწებებში უცნაური რამ ხდება: 2016 წლის 14 ოქტომბერს ყოფილ ნიადაგზე დაჭრილი ტრანსგენდერი „ქალბატონის“ მიმართ (რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა).

ე. წ. უფლებადამცველები და არასამთავრობოები ყოველდღიურად საპროტესტო აქციას მართავდნენ ამ „ქალბატონის“ „დასაცავად“, რასაც ქართული მედია-საშუალებები „ეროვნულ უბედურებად“ გვიშუქებდნენ.

ის კი არადა, ზემოთხსენებული „უფლებადამცველები“ შიმშილობის დაწყებას აპირებდნენ, თუ ხელისუფლება სამაგალითოდ არ დასჯიდა დამნაშავეს.

სხვათაშორის, დამნაშავე დაპატიმრებულია და საკმაოდ მძიმე ბრალის წარდგინა – „წინასწარგანზახული მკვლელობის მცდელობა“, მაგრამ „არასამთავრობოები“ და „უფლებადამცველები“ მოითხოვენ ზემოთხსენებულ ბრალდებასთან ერთად, მას ბრალი სიძულვილის ენის გამოყენებაში დასდონ.

აი, ამ სიძულვილის ენაშია სწორედ ძაღლის თავი ჩამარწყული.


აკრიახებულ არასამთავრობოებსა და მათთან სქესაბორჯებულ ე. წ. უფლებადამცველებს სულაც ერთ ადგილზე ჰკიდათ ამ ტრანსგენდერის დაცვა, რომელზეც, ჯერ კიდევ, მიმდინარე წლის (2016 წ.) ივლისში გაზეთი „ალია“ წერდა, რომ იგი, საქმიანობდა რა სექს-მუშაკად, თვითონ ზღვარსგამცდარი ცინიზმით ატყრორებდა საავტორ წერტების დაუცველ მუშაკებს (საინტერესოა, რომ ლბბტ-ური თემისთვის სექს-მუშაკი, ისეთივე სინჯის დასაქმებულია, როგორც მასწავლებელი, მსახიობი, ექიმი, მძღოლი და ა. შ.).

ამჯერად ისინი, იყენებენ რა საბაბად ამ შემთხვევას, – ტრანსგენდერი, რომელსაც იხსენიებენ სექსმუშაკად (და ჩვენგანაც მოითხოვენ ვეიანანოთ ამ სახელით და ასეთ ხრწნადობას არ ვუწოდოთ ნამდვილი სახელი), სურთ იგი გამოიყენონ პრეცედენტად და მიიღონ კანონი, რომლის საფუძველზე გარყნილების მხილება, სულაც სამაფშადლო სიტყვებითაც რომ გადმოსცვის სიძულვილის ენით ლაპარაკად და, აქედან გამომდინარე, დასჯად ქმედებად შეფასდება.

აი, ვისი ხელით ეღვლებოდა დღეს დედა ღვთისმშობლის წილხვედრილობას – ბოლშევიზმს ჩანაცვლებული ევრო-ატლანტიკური რასიზმი!.. ქართველი ერის გონითი განწვინის სივრცეს ლბბტ თემის ხრწნადობა ემარწუხება!..

ასეთ ვითარებაში ივერიის გაბრწყინება ქართველი ერისთვის ჩასანაცვლებლად გახაზობებული ეთნოდივერსიული „ახალი ნაციისთვის“ სახარხარო თავგართობაა!..

სმრბი საჯაია,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; მწერალთა აკადემიის წევრი; ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების ვეტერანი; ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიების ლაურეატი



იქნებ მომავალი წელს გაინს...

პოეზიის კუთხე
ვაი ლარს!

8 დეკემბერს დიდი ხელოვანის, „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორის – რეზო ჩხეიძის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღს მის გარეშე შევხვდით. სახელმწიფო კაცი იყო და ცხოვრების ბოლო წლებშიც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ჰუმანიზმის დიდი მაგალითები მოგვცა.

საკიანციის ანტიქართული, დაშნაკური ხელისუფლება აშკარად არ სწყალობდა დიდ ხელოვანს, მაგრამ ეს ნაკლებად ადარდებდა – გული იმაზე წყდებოდა, რომ ხელისუფლების ძალისხმევას ვერ მოაქცევდა საქართველოს სასარგებლოდ. მაინც ვერ ისვენებდა – სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიური მოქმედებით გამოირჩეული იყო, ასაკსა და სიძაბუნეს არ ეპუებოდა. იცოდა ემდლიერებოდა ბიძინა ივანიშვილს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სატრაპი სააკიანცი ნამოაშორა ქვეყნის მართვის სადავეებს, მეორეც კი იმიტომ, რომ სწორედ მის მიერ დანიშნული პენსიებით გადაურჩა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენცია შიმშილისაგან უეჭველ სიკვდილს.

„არასრულწლოვანს, ქალს, 70 წელს გადაცილებულ მამაკაცს ციხეში რა უნდა, თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე არ ჩაუდენია?“ – მისწერა 2014 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას. მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა ამ დიდი ჰუმანიური წინადადების განხილვა, იქნებ ახლა მაინც შევძლოთ.

სამების ტაძარში „ქართული ერთობის დარბაზის“ დაფუძნების დღეს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ღოცვა-კურთხევით, საზოგადოებას წარვედგინეთ „შექმედების მანიფესტი – ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, მომავლის საქართველოსთვის უადრესად მნიშვნელოვანი რამ გვითხრა: „ჩემი თაობის მეგობართა ფართო წრე, ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე, ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით საცხე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლორთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილს, რეზო აბაშუაშვილს, ჯანსუღ ნარკვიასა და არაერთ სხვა დიდ მოღვაწეს, ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენოსმა – ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. მინდა, დიდხანს ვიცოცხლო, ვიყო თქვენს გვერდით, ვიმოქმედო ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებულ სიკეთე ბორღების სიყვარული დასამარცხებლად“.

ამ სიტყვების შემდგომ ორი წელი იცოცხლა. დღეს არც ბატონი რეზო ჩვენ შორის და არც ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, მაგრამ დარჩა თაობათა დიდი მოწოდება:

„გვიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!“

ამ განწყობით მოღვაწე ქართველებმა და საქართველოს მეგობრებმა ისტორიის მიმე ქართველებში გამოატარეს ჩვენი ქვეყანა. ბატონ რეზო ჩხეიძის პქონდა სურვილი, დოკუმენტურ ფილმებად გვექცია „ქართული მთაწმინდა“, მაღლიერები ვყოფილიყავით ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც მხრებით ზიღეს ქართველი განწყობა. ეს სამომავლო საქმეა და დარწმუნებული ვართ, ხალხის, ხელისუფლების მხარდაჭერით ამას შეძლებს ბატონი რეზო ჩხეიძის მიერ დაარსებული და ქართველი ხალხისთვის საჩუქრად გადაცემული ტელევიზია „ქართული“. ამ ეტაპზე კი საშური საქმეა, დავიწყეთ ბატონი რეზო ჩხეიძის იდეის „მადლიერების დღეები“ აღნიშვნა, დავიწყეთ იგი ამ იდეის ავტორის, ბატონი რეზოსადმი მადლიერების დღით.

7 დეკემბერს სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, ხოლო ბატონი რეზოს დაბადების დღეს, 8 დეკემბერს, მის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში ჩატარდა დიდი ხელოვანისადმი მადლიერების დღეები.

კარგი გადაწყვეტილება მიიღო კინოთეატრ „საქართველოს“ მეპატრონემ, უცხოეთში მოღვაწე კეთილმა კაცმა – თენგიზ აბესაძემ: მის მიერ დიდი რუღუნებით რეკონსტრუირებულ და უკვე საერთაშორისო სტან-

დარტების კინოთეატრში ერთ-ერთ დარბაზს ბატონი რეზო ჩხეიძის სახელი მიენიჭება.

ჩვენ გვინდა, სრულიად საქართველოს, მის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ წარვედგინოთ ბატონი რეზო ჩხეიძის ბოლო წერილი „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც“.

ეს თხოვნა მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა – რამდენიმე დღეში ბატონი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა.

რას ითხოვდა დიდი ხელოვანი: „**შომდგენო, 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი 800 წლის იუბილის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეს მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა შევძლოთ, რომ დიდი მეგონის 850 წელი გაცილებით მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშნოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ოქტომბერში, თბილისის დღეებში. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დღემა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. გენიალურმა შოთამ და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები“.**

დღემდე ვერ შევძელით ამის შესრულება. არ არის ეს კარგი. არ არის კარგი, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა დიდ სახალხო სურვილად ქცეული დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება იმ ადგილზე, რომელზეც ის საქართველოს პატრიარქის ღოცვა-კურთხევით აღიმართა. იქნებ გაისად მაინც დაგაბრუნოთ დავით აღმაშენებლის ძეგლი პირვანდელი ადგილზე; იქნებ გაისად მაინც შევძლოთ დიდი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის აღნიშვნა... იქნებ გაისად მაინც ჩავატაროთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ისე, როგორც ეს ბატონ რეზოს თავკაცობით პქონდა დაგეგმილი მეცნიერთა, ხელოვანთა, სახელმწიფო მოღვაწეთა დიდ ჯგუფს.

ამ საქმეებს სჭირდება სამთა კავშირი: ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების. დარწმუნებული ვართ, ხელისუფლების თაოსნობით ეს დიდი საქმეები განხორციელდება.

ბიორბი (ბიბა) ბათიაშვილი, ნინო ჩხეიძე, ანუორ მძიმეაშვილი, ორგან რუშა, ბივი თორიძე, ტარიელ ხარხეილაშვილი, თემურ ბუბუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი, ნუზარ ბაბრატიონი, ზურაბ ბაბრატიონი, ბია ბაბრატიონი, მირაბ ანდრონიკაშვილი, კიტრი ჩხეიძე, რამაზ კოპუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ენდი ბობოხიძე, ბიორბი კანდელიანი, რამაზ ლომინაძე, ალექსანდრე ოჩიკვაძე, მირაბ თაგაძე, ანთონიო ჩხეიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თემურაზ შაშიაშვილი, დავით გველსიანი, ბობი ჯაოშვილი, ემილ მიტაძე, ოლეგ ნიკოლაიშვილი, როლანდ კილაძე, ლაური ჯანაშია, ჯამლით ხუხაშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, რეზო მსახე, გურამ ბათიაშვილი, გუჯა ბუფაშვილი, ლევან ფირცხალავა, ნონა ლამაზიძე, ვისილ დავითაძე, მიხეილ ანდრონიკაძე, ბაკურ ბუღუა, ინესა იამანიძე, ბაღრი გვილაძე, ვახტანგ გვახაძე, დავით სახვაძე, მათა კვიციანი-კოპაძე, მამგალა კოლაშვილი, ენრიკო ჯანელიძე, მალხაზ ხატაძე, ლაშა ნიქაბაძე, ბრიგოლ შონია, ზაურ ბამსაშვილი, ბიორბი სიბუა, კონსტანტინე მირაშვილი, ალექსი კობახიძე, ომარ შვანია, ვალერი ასათიანი, ვაჟა ახარაშვილი, ბენო კალანდია, ზაურ კა-

ლანდია, მლაღიმე კანდელიანი, შოთა ზორიძე, დავით თევზაშვილი, ირაკლი თორაძე, რამაზ ბალანდია, ანუორ ბალაშვილი, ორგან ბაბუაძე, ვახტანგ ხარხილაძე, თემურ ჩალაბაშვილი, ბია ჯანაშვილი, ბრიგოლ ჩიკვილაძე, მალხაზ დათუაშვილი, სოსო ბაჩიაშვილი, ნათია ჩარკვიანი, ირინა თუტია, ცინცინო თორაძე, შოთა ჩხეიძე, ომარ მინაშვილი, კობა კოპალაძე, დათო ქობალია, პაატა ბიორბაძე, ამირან ავციანიშვილი, ბაღრი მუთათელიანი, იოსებ არჩვაძე, მიხეილ ჯიბუტი, ლევან ღვინჯილია, ნინო შორაძეშვილი, ბიბა გვაღლიშვილი, ბორის ჯიბია, ავთანდილ იოსელიანი, ნუზარ ჯუჩიძე, გურამ ჯუჩიძე, ნათელა ჯუჩიძე, ელგუჯა მინაძე, ნოდარ ელიაშვილი, ბივი ჯაფარიძე, მაილო ჯაში, ჯამალ მარბეშვილი, თემურაზ ჯიბიაშვილი, თათა ენდელიანი, ზურაბ ერქვანიანი, თინათინ მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ზაურ ბახარია, ნიაზ ბოლქვაძე, ჯუღლას ზამთარაძე, ვახტანგ აბოილაძე, თემურ ჰანტუროშვილი, ზაზა ლილუაშვილი, ნოდარ წულუპიძე, გუგუნი ბაბაიძე, ბივი ბობოხიძე, ვიტორ ცაავა, ზაურ ბობოხიძე, ასლან კომახიძე, ბიორბი კუპრაშვილი, დავით მამულაძე, ვალერი მოქიციანი, ჩიტო ოშირიძე, რეზო ორგანაძე, ზაურ სოლომონიძე, ანუორ თამარაშვილი, ლევან ნინიძე, ნუზარ ნაღარაძე, ომარ ხუხუნი, ბორის აფთხიაშვილი, მირაბ შენდელიანი, ტარიელ ბაბანიძე, თამთა ბერიაშვილი, ნათია ჯიბეშვილი, რამაზ ვილიკია, ჯონი ბაჩიაშვილი, ბივი ბაბანიძე, ჯაჭო კვიციანი, კობა არაბული, ნუზარ კვაშალი, ვადიმ ანანტასიანი, ზაქრო მამასახლელი, გელა მუსთაშვილი, თინა ბივიანი, ომარ შორაძე, ვახტანგ ჯორჯიანი, ვისილ კალენიძე, თემურ კაკრაშვილი, ლია ბობოხიძე, ნუზო ჩიქვაძე, მთევან ჩხეიძე, მირაბ ჩორბაძე, ასლან აბაშიძე, დავით მორჩილაძე, კობა ხამაშვილი, კონსტანტინე მარუაშვილი, ზურაბ ხასია, ბიორბი ჰინჯარაშვილი, ზურაბ გეგია, ნოდარ ბერიძე, ვაჟა ბერიძე, ლონდო ცაავა, ანუორ ცაავაძე, ვახტანგ ვიწვიანი, ანუორ ვორონაძე, ნანული ვირთაშვილი, თინა კაკრაძე, დათო მალაჩია, მურთაზ ჰაბუკიანი, მლაღიმე შანბანი, გელა შარაშვილი, შოთა შანთაშვილი, ლაშა ფალიანი, ვისიკო ჩიბოძე, ბივი ვირთაშვილი, ალექსი კოპალაძე, ტარიელ მამულაძე, ანუორ დანელიანი, მურაზ ხახანაშვილი, რამაზ ბობოხიანი, დავით რვიშვილი, ბივი ჩხეიძე, ბიორბი სინარაშვილი, ირინა შურცვალიანი, რუსუდან ბოლქვაძე, შორენა ჯანსოთელი, კახაბერ ჰიჭინაძე, ნათია რამაზიშვილი, ომარ ჯიბია, ორგან უბილაძე, ამირან აბუსაძე, კობა ამირხანაშვილი, ალი ბაბაიძე, შოთა არსენიშვილი, თამარ ალამია, თამარ სინარაშვილი, კლარა ტონია, დელი სტურუა, ვახტანგ თიხიშვილი, ლევან ხეიძე, მირაბ კილაძე, კონსტანტინე კინაშვილი, არამაზ დავაშვილი, ომარ ხუხუნი, რეზო მარხაშვილი, ბენი კაკრაშვილი, თემურ კვიციანი, რუსუდან გვაშაძე, ნანა სარაშვილი, მამგალა სორობაძე, მათა დავითაშვილი, ბიორბი ბაბოლოვი, ელენე ჯანაშვილი, მანანა ბაბუნიანი, მთევან ჩიქვაძე, თამარ ღვინჯიანი, ბიორბი ჰინჯარაშვილი, ვილენ ალაბიძე, მირაბ ბაბრაძეშვილი, ნიკოლოზ დანიანი, ნინო ცხორიძე, ირინე მუსელიანი, ანუორ დანელიანი, თამარ ლობჯანიძე, ევა ყიფიანი, მიხეილ კონოსოვი, თათუა ყურაშვილი, დიმიტრი კოპალაძე, ბივი ყურაშვილი, ბივი მუთათელი, ვახტანგ მიროტაძე, ლალო ცოფურაშვილი, ომარტოხონელი, რინდი ჯავახიძე, კუსო ლოლოვიანი, ბობი ბობოლაშვილი, თემურაზ ბობოხიანი, ვალერი ბობოხიანი, ამირან ციციანი, ნუზარ მბალოშვილი, ნუზარ შავთვალიანი, ალექსანდრე სამთაძე, კარლო შულაია, ლეონ უმესიანი, ბიორბი შაშიაშვილი, ალექსი ჩხეიძე, გურამ ჩხეიძე, იორ ჩხეიძე, სოსო ჩხეიძე, როლანდ ჯალაღანი

“მაშინ როდესაც გაჩნდი გარეთ ყოფილა დარი, მამას კუპონი ერქვა მე კი დამარქვეს ლარი.

მინდოდა, ჩემს ქვეყანაში მარტოს შემღერა სოლო, ალბათ პატრონი არ მყავს, რადგან მომეღო ბოლო.

მივიწვევ ქვეყნით-ქვეყნით ვნატრობ ბავშვობას, წარსულს, მე ვემსგავსები მამას – კუპონს უდროოდ წასულს.

ჯიბე-ჯიბობდა, ერთ დროს, თუ ჩემით იყო საესე, გამაგებინე, კვირიკ, რატომ გამწირე ასე?!

რად დამაყენე ეს დღე?! რატომ დავეშვი ყირა?! რომ აღარ ფიქრობო ჩემზე მანეთი ვარ, თუ ღირა?

სიკვილ-სიცოცხლის მიჯნას მივეუკაუნე ნელა, დოლარი როგორ ბრწყინავს, ჩემთან კი როგორ ბნელა.

ვინც ვერ მთავით თავი ჩემს დახმარებას, შევლას, ფრთხილად იყავით აწი გადაგიყოლებო ყველას“.

ლალო ბობოლაძე

ალამიანს

ლექსი ფასდება აზრით და რითმით; არ უნდა გძლიოს ეშმა-მაცდურმა, ადამიანმა კელაპტარივით სიცოცხლე უნდა განელო კაცურად. ადამიანი საქმით ფასდება, თუ მისდა მრწამსად შენათავისა, გულით გიყვარდეს შენი მსგავსება, რაც ამ ცხოვრების შინაარსია. ვიწრო ბილიკი თუ გზატკეცილი, ბუნება რომელს დაგპირებია? ეს ხარ მოყვასი ფრთებშეკვეცილი, შენი სიცოცხლის ნაპირებია. შენი სინდისის მტკიცე სარჩული – მორალი რაღას განაპირობებს? თუ ხარ პერსონა, სხვისა მსაჯული, არ გაირიყოს სანაპიროზე. ადამიანო, როცა ფრთებს გაშლი, არ დაარღვიო ეს სიმეტრია, თანამომქმეთა ამ ცხოვრებაში შენი ადგილი ეპიცენტრია. შენი ქმედება თვითვე გაზომე, მით ურწმუნონი რომ მთარჯულო, არ გასცდე ედემ-ბაღის გაზონებს, დეთურ გონებით რომ იმსაჯულო. ფარისევლებად ხომ არ ვიაროთ, სანამ სამყარო არ შეგვიძვრია, სიმართლე უნდა ხომ ვადიაროთ, მე სხვანაირად არ შემიძლია. მთელი არსებით იცან ვინცა ხარ, რომ შემეცნებით გაამზიანო, როდესაც რამეს მიზნად ისახავ, დაფიქრებულხარ, ადამიანო?! უნდა ეძიო, კიდევ პოევე მას, აქსიომა ესეც უნდაო, ქმნის მატრიანს შენსა პოემად, სინდისიც აღარ დაახურდაო. მეც ამ იმედით თქვენთან მოვედი, ვინძლო ნაპერწკლად მისხალ ვიეღვე, თქვენგან სრულიად არ მოველოდი სულით ამდაგვარ სიცარიელეს.

ბურამ ჯიბია

ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავსაყოფად



გამომეხატა ჩემი მადლიერება მისადმი. ჯერ ვფიქრობდი ქანდაკებაზე, ბიუსტზე, მემორიალურ დაფაზე, ერთხანობას ხელიც კი ჩავიქნიე, მადლიერების გამოსახატად ეს ტრადიციული ფორმები შეუსაბამო მეჩვენა. ნაწარმოებისა და მისი ავტორის განსაკუთრებულობასთან, როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტება ძალიან ახლოსაა, უნდა აიხედო ზემოთ – იქ დევს ჭეშმარიტება. და ასე დაიბადა მადლიერების ეს ფორმა, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ სახალხო განწყობილების გამომხატველი”.

ამგვარი იდეები ახალი არ არის ბატონი ვახტანგისათვის. საქართველოს თითქმის ყველა რაიონს ამშვენებს მაღალი გემოვნებითა და დიდი ოსტატობით შექმნილი მისი არქიტექტურით შესრულებული ხუროთმოძღვრების ძეგლები თუ მონუმენტები. სულ ახლახან საზოგადოებამ მიიღო მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული სკელტანიანი წიგნი. რომელიც სრულად მოიცავს მისი შემოქმედებით მიღწევებს. ალბათ უფლის ნებაც იყო წიგნის პრეზენტაციაზე შეკრებილიყვნენ საქართველოს არქიტექტურის პროფესიონალები, ქალაქ თბილისის მერის, ბატონ დავით ნარმანიას თავადაც. სადაც მაღალი შეფასება მიეცა, როგორც წიგნს, ასევე ბატონ ვ. დავითიას ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ყოველ შემთხვევაში არის შემართების ყლორტი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია წარმატება. ნიჭი კი ის ფრთხილად აღმაფრენისა, რომელიც საიმედო დასაყრდენი ხდება. ბატონ ვ. დავითიას დასაყრდენი გახლავთ მის შინაგანი ძახილი სულისა, რომელიც მის არსებას მუდამ თან სდევს და აძლევს შესაძლებლობას მუდმივად იყოს შემოქმედებითი წიგნი ეპოქებში. მკონია, რომ მისი იდეა შექმნილიყო ცნობილი რომანისტი მემორიალური დაფა „გმადლობოთ ჭაბუა“ სწორედ ამის გამოხატულებაა. იგი არ დაელოდა სოსოსის გამოჩენას, თავად შექმნა ესკიზი და თავადვე უზრუნველყო მისი სამ ვეზემპლარად დამზადება. თურმე როცა ქუთაისში, შესაბამის საამქროში შეუკვეთა დაფების მომზადება და წარწერის შესრულება, საამქროს ხელმძღვანელს უთქვამს, ეს იმ მწერლის სახელზე მზადდება ყველას რომ გვიყვარს და ერთი ცალს

ჩემს სახელზე დაგამზადებო. ქვაზე წარწერის შემსრულებელს განუცხადებია, ერთ ქვაზე უფასოდ წავაწერო. გამოვიდა, რომ კარგი წამოწვევის განხორციელებაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჭაბუა ამირეჯიბის, როგორც მწერლისა და ქართველი მოღვაწისადმი პატივისცემასა და მოწიწებას.

26 ნოემბერს, სენაკში, რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით მოეწყო მემორიალური დაფების გახსნა. შეიქმნა სამი ხალხმრავალი ადგილი. შეუძლებელია თვალი შეავლო ღამაზად გამორანდულ ორ სიტყვას და თვალწინ არ წარმოგიდგეს დათა თუთაშხია და მისი ავტორი. თუ ახალგაზრდამ არ იცის ვინ არის ჭაბუა, ალბათ იკითხავს და იპოვის პასუხს, შეეცდება წაიკითხოს მწერლის ნაწარმოებები. ეს გახლავთ ამ ინიციატივის დედა აზრი, რომ მარადის, მარადის ახსენებდეს საზოგადოებას სამშობლოს წინაშე მრავალმხრივ ვალდებულნი შემოქმედის სახელებს.

ეს გახლავთ შესანიშნავი დასაწყისი, თუნდაც მისაბაძი მაგალითი იმისა, რომ სხვა ქალაქებში გაგრძელდეს კლასიკის მწერლების სახელის უკვდავსაყოფად მოკრძალებული, გნებავთ დაფების კედლებზე გნებავთ ქვაფენილზე განთავსება. რა სასიამოვნო იქნებოდა კახეთის რომელიმე რაიონის ქუჩაში წაგვეკითხა ღამაზი წარწერა „გმადლობოთ კონსტანტინე“, გურიაში შეგვედროდა „გმადლობოთ ლევან“ (ლევან გოთუა), რაჭაში – „გმადლობოთ ნოდარ“ – ნოდარ დუმბაძე. ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მგონია ეს იგივეა რაც კინოსახიობებისა და მომღერლებისთვის ვარსკლავის გახსნა. ოღონდაც სხვა ფორმით

დღის ორ საათზე, სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიჰყავდა რაიონის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს ვასილ ბესელიას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

საზოგადოებას, საკუთარი შეხედულება ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაზე წარუდგინა ლიტერატორმა ჟაკლინ სირაძემ. მან

აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ არის ჭაბუას პიროვნებისადმი დაინტერესება და პატივიგება. იგი ჭეშმარიტად გახლავთ საუკუნის მწერალი.

საკუთარ გამოსვლაში ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა თამაზ დოგრაშვილმა აღნიშნა რომ ვახტანგ დავითიას მიერ, ამგვარი ფორმით ცნობილი პიროვნების ღვაწლის დაფასება ახალია და მას უსათუოდ გაგრძელება ექნება. დარწმუნებული ვარ ეს დადებით როლს ითამაშებს მომავალი თაობების ესთეტიკური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

მწერალმა ბორის დავითაიამ აღნიშნა, რომ როცა კინოფილმი დათა თუთაშხია გამოვიდა ეკრანებზე, სენაკის საზოგადოება პირველი იყო, რომელმაც მოიწვია წიგნის ავტორთან ერთად ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი და გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ამ მაღალმატერული ხელოვნების ნაღვალისადმი. რაც შეეხება ბატონი ვახტანგის მცდელობას, პატივი მიეგო საქვეყნოდ ცნობილი მწერლისადმი, რომლის წიგნზე თარგმნილია 30 ენაზე, კინოფილმმა კი მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, სასიამოვნო მოვლენაა. და ესეც პირველად სენაკში ხორციელდება. ეს ადასტურებს მის მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და ინიციატივობას. მადლობა მას ამისთვის.

შეხვედრაზე აუღერდა კლასიკური მუსიკა, შეგრული და ქართული სიმღერები, სამუსიკო სკოლის პედაგოგების დარჯჯანულია, ინგა გადელიას, ეკა ლომიაის, ქეთევან ფულარიაის, მაია ჯაღალონას, ნათია შურდიაის და მოსწავლეების, საერთაშორისო კონკურსების ღაურეაგის კესო ლეფსაიასა და ნინო ვერუღავას შესრულებას. გიტარა აუღერდა გონა ჯგერენაიამ. სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი რუსუდან მილუტინი.

შეხვედრა დასრულდა სასიამოვნო მოვლენით. რაიონის გამგებელმა გონა დგებუაძემ ამცნო საზოგადოებას, რომ აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია არჩეულია სენაკის საპატიო მოქალაქედ და მას შესაბამისი მედალი და დიპლომი გადასცა.

ბორის დავითაია,

ა. წერეთლის სახელობის კონკურსის ღაურეატი

ქართული პინოს მარად ცოცხალი “ზვიადური” – მსახიობი, რომელსაც უარყოფითი როლი არ უთამაშია



ბედკრულ ყოფაზე, პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაზე, ზურაბ ქაფიანიძე მართლაც განსაკუთრებულად უყვარდათ საქართველოში, ის ხომ საოცრად ჰგავდა თავის კინოგმირებს – პირდაპირი და ადალი...
ის 1937 წლის 1-ლ აპრილს ონის რაიონში, სოფელი ნაკეთში, ვასო ქაფიანიძისა და თინა ხიდაშელის ოჯახში დაიბადა.

1961 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და მუშაობა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დაიწყო. 1964 წლიდან ზურაბ ქაფიანიძე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობია. მისი კინოდებიუტი შედგა მერაბ კოკონაშვილის ფილმში „მისა“.

ქართველმა მსახიობმა ეკრანზე 50-ზე მეტი პერსონაჟი განასახივრა, თუმცა უარყოფითი გმირი არასოდეს უთამაშია.

1999-2003 წლებში ზურაბ ქაფიანიძე საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. 2011 წლის 4 ივლისს 74 წლის მსახიობი ინსულტით გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სიყვარულით მცხოვრები მსახიობი სიბერეს არ უშინდებოდა:

„დაუმორჩილებელი კაცი დავემორჩილდი მიმწუხრსა და სიბერეს... მაგრამ სამშობლოს ამბავში არც ვემორჩილები და არც დავემორჩილები არაფერს. სანამ ისე არ იქნება, როგორც მე მინდა ვნახო სამშობლო, მანამ არ დავიბებრებ თავს სამშობლოსთვის“.

მამის სამშობლოსადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე საუბრობს ზურაბ ქაფიანიძის შვილი ბექუა ქაფიანიძე:

„მამა მხოლოდ მსახიობი და ცნობილი სახე არ იყო, ის თავიდან ბოლომდე, ერთგული ფიგურა გახლდათ. მამას პქონ-

და ჩანაწერების დღიური, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ. ერთგან წერს, სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, ვერ მოვისვენებ... თითოეული ადამიანის პირობაზე გულთან ახლოს მიპქონდა. ქუჩაში უბრალო შემხვედრსაც კი ემხარებოდა. თუკი ვინმეს ოდნავ მაინც ხელს გაუმართავდა, ამით უზომოდ ბედნიერი იყო“.

“როგორ მწყდება გული იცი? ამდენი მოღალატე რომ არის ერში...” – ამბობდა ის “კვირის პალიტრისთვის” მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში...

ერთხელ, მძიმე წლებში, ცოცხოდენი ფული აიღო. მაღაზიაში შევიდა. ნახა, კაცი დგას, წვალობს... ფული არ ჰყოფნის. არ იცის, რა იყიდოს, რომ ოჯახი გამოკვებოს. ზურაბ ქაფიანიძემ ჯიბიდან ფული ამოიღო: აი, ძმაო, ნახევარი შენ, ნახევარი – მე... იყიდე, რაც გინდაო. დამუხჯდა სიხარულით კაცი... სანოვაგით დატვირთული წავიდა შვილებთან... წლების მერე საოცრება მოხდა. მოდიოდა მოწყენილი არტისტი ქუჩაში. უცნობი შეეგება

სიცილით: მე ის კაცი ვარ, თქვენ რომ 200 დოლარი მანუქეთ, ახლა მე მაქვს 1.000 დოლარი ჯიბეში, ნახევარი თქვენ, ნახევარი – მეო... ასეა, სიყვარული არ იკარგება...
ამბობენ, რომ ბევრი როლი დაუთმია. თუ ვინმეზე მიხედვებოდა, რომ ძალიან უნდოდა რამე როლის თამაში, აუცილებლად ვაჟაკაურ სიტყვას ეტყოდა: მე განხე ვაგებო, ეს როლი შენიაო... თუ სადმე მეორე მსახიობად მიიწვევდნენ როლზე, იქაც უარს ამბობდა, პირველს არ შეეუშლიო...

“ერთ დღეს ზურას მეგობრებს უქეიფიათ. სიმღერა ნდომებიათ და პირველი ხმა ვერ უპოვიათ. შუაღამის 3 საათზე მიადგნენ ქაფიანიძეს. შენი სხვა არაფერი გვინდა,

ფანჯრიდან მარტო თავი გადმოყავი და პირველი ხმა მოგვეცი, შეგვარე პურმარ-ილიო. საცვლების ამარას გამოუყვია თავი და ამას პირველი უთქვამს, იმით – მეორე და ბანი! გაიხარეთ! – დაუპასუხათ მოქეიფეებს, – ძლივს ჩავატანეთ სადამოს გემოო.“

მეზა ბაღაზაბაძე

მითაზარი რეჟისორის მინაწერი: ვერ ვიტყვი, რომ გადაბმული მეგობრები ვიყავით, მაგრამ გამართული ძმაცაცობა რომ დაბრალდებულ მეგობრობას სჯობს, ისიც ფაქტია!

სწორედ ვხვდებოდით ერთმანეთს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კინოსტუდია “ქართული ფილმის” შემოქმედებითად დაუკავშირდა ჩემი სცენარით რამდენიმე მხატვრული ფილმი გადაიდგეს.

მერე იყო 1990-91 წლების ავღსახსენებელი რევოლუციური მოვლენები, რამაც დაიპტრა რევოლუციური შეცვალა საქართველოს ცხოვრება.

განუკითხაობის ჟამს – 1991 წელს, როცა დიდი თუ პატარა შეიარაღებული დადიოდა, შემთხვევით ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე სახინკლე “რაჭაში” შეგვიდო სულმნათ ზურიკოს. მაგიდები გაგაერთიანეთ და რამდენიმე სირნა არყით რომ დავილოცეთ, შორიახლოს მოქეიფე ვიდაც უბრმა რევოლუციური გამოსვლა დარბაზში. ისედაც დახუთულ მიმცრო ოთახში გასროლის ხმა ზარბაზნის დაცლის ტოლფასი იყო – კინაღამ დაგურუვდით. ზურიკო იმ უჯიშის მიუბრუნდა და რაჭული პრონოსით და დაღანა ხმით უთხრა: “რა იყო, ბოშო, დევიჯერო სათქმელი არაფერი გაქვს, ამ რევოლუციის ხმით რომ გვაყრუებ?”

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყო, იმ უჯიშომ დიდი მსახიობი იცნო, ბოდიში მოუხადა და დარცხვენილმა სახინკლე დატოვა.

სიცოცხლის ბოლო წლებში დიდი დარდით საუბრობდა ხოლმე სამშობლოს

გიორგი კვიციანი: აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ნამდვილად არის აღაშინი, რომლითაც ყველა უნდა ვიამაყოთ!



აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის ახალ კორპუსში, რომლის მშენებლობა 8 თვეში დასრულდა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა უახლესი თაობის რადიოქირურგიული სისტემა EDGE-ით იქნება შესაძლებელი, რაც სამიზნე უბნის მაღალი სიზუსტით დასხივებისა და გამოჯანმრთელების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკა 8 დეკემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანმა, ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგაძის თანხლებით დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მის-ახალმშენებელია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან თანამშრომლობის შედეგად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის შორის სწორი პარტნიორობის მოდელით, შესაძლებელი გახდა თანამედროვე აპარატურის შექმნა, რის შედეგადაც, პაციენტებს სამკურნალოდ უცხოეთში გამგზავრება აღარ მოუწევთ. უახლესი აპარატურით მკურნალობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება.

„ეს არის ისეთი აპარატურა, რომელიც არ აზიანებს ჯანმრთელ ქსოვილს. ის, რის გამოც ჩვენს თანამემამულეებს უწევდათ საკუთარი ქონების გაყიდვა, ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთის აღება, დღეს შესაძლებელია საქართველოში. ეს პროგრამა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ნამდვილად არის აღაშინი, რომლითაც ყველამ უნდა

ვიამაყოთ. იგი 1990 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ამ კლინიკაში ინვესტირებული აქვს 34 მილიონი ევრო და ეს მართლაც ძალიან მისასაღმებელი საქმეა, რადგან, მოგეხსენებათ, სახლში საკუთარი კედლებიც კურნავს ადამიანს“, – აღნიშნა პრემიერმა.

უახლესი ტექნოლოგიები, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით, სიმსივნური უბნის დიდი სიზუსტით, მაქსიმალური დასხივებისა და გამოჯანმრთელების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

მცირე ინფორმაცია გატონ ფრიდონ თოდუას შესახებ:

დაიბადა 1944 წელს ქ. ზუგდიდში. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ფ. თოდუა 1968-1990წწ. მუშაობდა მოსკოვის აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა რიგითი მეცნიერ თანამშრომლიდან სსრკ-ში პირველად მის მიერ შექმნილი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელამდე.

1991 წელს დააარსა და ხელმძღვანელობს – კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტს. 1998 წლიდან არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი სამედიცინო რადიოლოგიის სპეციალობაში, ხელმძღვანელობს სამედიცინო აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრას ენდოსკოპიის კურსით. 1999 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტს. 2002 წლიდან არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი რადიოლოგი.

2004 წლიდან ფ. თოდუა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. 2008 წელს არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ფ. თოდუა 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 8 მონოგრაფიის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფია გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, მიღებული აქვს 5 სააქტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე. არის 200-ზე მეტი საერთა-

შორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. 80-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1979 წელს ფრიდონ თოდუას სამედიცინო მეცნიერებაში დამსახურებისათვის მიენიჭა აკად. ა. ვ. ვიშნევსკის, ხოლო 1986 წელს აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის პრემიები, 1988 წელს – სსრკ-ში პირველი სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 1996 წელს იგი დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, ხოლო 2006 წელს ღირსების მეორე ორდენით. იგი თბილისის საპატო მონაქალაქა (1998). 1998 წელს არჩეულია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

მიღებული აქვს ევროპის ღირსების ორდენი ერთიანი ევროპის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის პენრი კისინჯერთან ერთად (1999), მალტის ორდენი (1999), ბელგიის სამეფო კარის შვეალიეს წოდება (1999), ანდრია პირველწოდულის ორდენი (2000), ალბერტ შვეიცერის ორდენი „ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისთვის“ (2003). ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დიდი ოქროს მედალი (2003), აკად. გ. მუხაძის მედალი ქართული ქირურგიის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის (1993). სამედიცინო მეცნიერების განვითარებისათვის 1994 წელს გახდა ა. ჩანავას პრემიის ღირსი. დაჯილდოვებულია ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სამახსოვრო მედლით სამაშულო მედიცინის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის.

მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედალი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო სწავლების აღდგენისა და მედიცინის ფაკულტეტის აღორძინების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისთვის (2004). საფრანგეთის მთავრობის მიერ დაჯილდოვებულია ჯილდოთი „მადლიერების ჯვარი“ დიდი ქველმოქმედებისა და საქმის ერთგულებისთვის (2004). ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის (მსოფლიოს გამორჩეული პიროვნებების ბიოგრაფიების შემსწავლელი ორგანიზაცია) მიერ ფრიდონ თოდუა საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის აღიარებულია 2003, 2008 და 2011 წლებში „წლის საუკეთესო ადამიანად“, არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრად. 2008 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზაზა

ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობითი პრემია მონოგრაფიისათვის „ცერებრალური პათოლოგიითა არაინფარქტული სხივური დიაგნოსტიკა“. 2009 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ორდენით, 2010 წელს კი პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენით. 2010 წელს მიენიჭა აკად. გ. მუხაძის სახელობითი მედალი ნაშრომთა ციკლისთვის. 2010 წელს არჩეულია ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსად, 2010 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტმა დაჯილდოვა ელჩების საერთაშორისო ორდენით. 2010 წელს აირჩიეს გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის საპატო დოქტორად, 2012 წელს არჩეულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატო დოქტორად, 2012 წელს კი ბაქოს ოლდერ იურდუს უნივერსიტეტის საპატო დოქტორად (ახერბაიჯანის რესპუბლიკა). 2016 წელს მიენიჭა ზუგდიდის საპატო მონაქალაქის წოდება.

არის მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციისა და სხვადასხვა საბჭოს წევრი. მათ შორის: საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის ინტერვენციული რადიოლოგიის ასოციაციის, ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის, რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის რადიოლოგთა ასოციაციის, თსუ აკადემიური საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს; საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საპატო მონაქალაქებისა და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობის და საქართველოს ეროვნული პრემიების კომისიის წევრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. არის პურნალის „რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი. პურნალების „Вестник рентгенологии“, „Медицинская визуализация“ (მოსკოვი) „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“, „საქართველოს სამედიცინო მოამბე“, „Georgian Medical News“-ის სარედაქციო კოლეგიების წევრი.

საშინელი სიზმარი ვნახე – დამუსიზმრა ბერმანია 2016 წელს

დილით შტირლიცი მიულერთან შევიდა კაბინეტში. მიულერს ეტყობოდა, რომ საშინელ ხასიათზე იყო, ისედაც ფერმკრთალი სახე მთლიანად გაფითრებული ჰქონდა.

– ბატონო გრუპენფიურერო, რა მოხდა? რუსები უკვე ბერლინის შემოგარენში არიან, თუ ჰებელსმა ებრაელი საყვარელი გაიჩინა?

– შტირლიცი, მოეშვი რა უკბილო ხუმრობას! საშინელი სიზმარი ვნახე, ნამდვილი კოშმარი დამესიზმრა – გერმანია 2016 წელს!

– მერე, რა ხდებოდა, ყველაფერი ასე ცუდადა?

– არ მკითხო შტირლიცი! წარმოიდგინე, გერმანიის კანცლერი ვილაც უსახური დედაკაცია, რომელსაც საკუთარი პრინციპები არ გააჩნია! ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კაცზე გათხოვილი პედერასტია! პორშეს და დაიმლერ-ბენცის ქარხანაში და გერმანიის უმაღლეს სახელმწიფო უწყებებშიც კი თურქები მუშაობენ! ბერლინის ცენტრში მეჩეთები წამოყანთრულან, მუეძინი კი მთელი ბერლინის გასაგონად ამცნობს ყველას რომ უკვე გათენდა! ნაცისტების ჩირაღდნებიანი მსვლელობის მაგივრად მთელ გერმანიაში გეი-ადლეუმები ეწყობა, გერმანიას საკუთარი ფული არ გააჩნია და

ებრაელებს რაღაც ვეროებს ვუხდით კონტრიბუციად, თან ყოველდღე სამჯერ მაინც ვუხდით საჯაროდ ბოდიშს. ამერიკიდან ზანგის მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებთ, მილიონზე მეტი ღტოლილი შევიფარეთ ახლო აღმოსავლეთიდან, რომლებიც გერმანელ ქალიშვილებს აუპატიურებენ და კლავენ, მშვიდობიან ადგილობრივ მოსახლეობას სისტემატურად აწიოკებენ. ჩვენ კი მათ თავშესაფარს ვაძლევთ და შემწეობას ვურიგებთ! ფაშისტები ყველგან სხედან, მაგრამ არა რეისსტაგში! რუსეთი უკრაინას ებრძვის და გერმანია, წარმოვიდგენია, შტირლიცი, გერმანია – რუსეთს არწმუნებს, რომ არ იომოს!!!

“მართლაც, რა საშინელებაა...” – გაიფიქრა შტირლიცი და გულწრფელად შეეცოლა გერმანია.



აფხაზეთ-სამეგრელოს აღმინისტრაციულ საზღვარს ყოველდღიურად 1500-მდე მოქალაქე კვითს

გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თემურ ნადარაიას ინფორმაციით, საოკუპაციო საზღვართან არსებული ოთხი გამშვები პუნქტიდან ყოველდღიურად დაახლოებით 1500 ადამიანი გადადის სამეგრელოს რეგიონში. მისივე თქმით, ამდენივე ადამიანი ბრუნდება უკან.

„ითქმის ერთიდაიგივე ადამიანები არიან. ისინი მიდიან ბაზარში, ნათესავების სანახავად, სამედიცინო დაწესებულებებში. მათი უმრავლესობა – 95% გალის რაიონის მცხოვრებია“, – განაცხადა თემურ ნადარაიამ.

დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მას შემდეგ რაც, რუსეთის სამხედროებმა საზღვარზე კონტროლი გააძლიერეს, მოქალაქეების რაოდენობამ ე.წ. გამშვებ პუნქტებთან იმატა.

აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ რუსეთის სამხედროების რაოდენობა რომ გაიზარდა, ამის შესახებ „ლაიფპრესს“ ტელში მცხოვრებმა რესპონდენტმა გულეფონით აცნობა. მისი ინფორმაციით, რუსეთის სამხედროები აკონტროლებენ საოკუპაციო ზოლის იმ ნაწილსაც, სადაც მანამდე არ იმ-

ოვებოდნენ. ამასთან, რესპონდენტის თქმით, სამხედროები ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში აცხადებენ, რომ გალი მალე სამხედრო ქალაქი გახდება.

„დგანან ახალი გზა რომ გააკეთეს ოტობაისკენ იქაც. საბუთებს ამოწმებენ, მეტი არაფერი. ოფიციალური საგუშაგოს მსგავსი კი არ აქვთ, ისე დგანან. გალზე ამბობენ „ვაენნი გარადოკი“ იქნებაო. მოსახლეობას ამაზე არ აქვს ცუდი რეაქცია. პირიქით, არც ყანალობა რაც ესენი შემოვიდნენ. ადრე, დამე ქუჩაში გამოსვლის გვეშინოდა. ესენი არავის არ ეჩიან. უბრალოდ დგანან“, – უთხრა „ლაიფპრესს“ რესპონდენტმა და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით გალის რაიონში სამხედრო ტექნიკის მატება არ შეუნიშნავთ.

ნადარაიას ცნობით, თუ 2014 წელს ადმინისტრაციული საზღვარი 1 მილიონ 112 ადამიანმა გადალახა, მომდევნო წელს, ეს ციფრი მილიონ 127 ათასამდე გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში უკვე დაფიქსირდა 1 მილიონ 83 ადამიანი.

„ჩარლი ვაზა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ...“



ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილს – ჯერალდინას, რომელიც მსოფლიოში სახელდებიდა ბალერინა გახლდათ ჩემო გოგონა!

ახლა დამე. შობა დამე. ჩემს პატარა ციხე-სიმაგრეში ყველა უბაჯრო მეცისოვნემ დიდა მისცა თავი. სიძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაქიდა.

შენ ისე შორს ხარ ჩემგან... მაგრამ დაე, თვალისწინა წამებოვას, თუ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს.

შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ.

ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი დამის მღუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავების თვითნებურად რომ გაფრთხილდნენ. ვიცი, ამ დამაზ სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ.

იყავი მზეთუნახავი და იცეკვებოდი იყავი ვარსკვლავი და იცეკვებოდი. მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგაბრუნოს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგვე მაშაშენის ხმას.

მე მამაშენი ვარ, ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწაწას ზღაპრებს ვეყვებოდი! ხან მინანიო მზეთუნახავისას, ხან ბორტო გველეშაპისას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი:

– გამშორდი! მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანებთან!

მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს, ცაზე მოფარფარე ფერიას. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში:

– ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია, არ გახსოვთ, ჩარლის რომ ეძახდნენ?

ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსს გმოსავს. ეგ ცეკვა და ტანის გრძალი დროდადრო ცაში ატყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი!

შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება – ცხოვრება იმ ქუჩის მოცეკვავეებისა, შიშისმილისაგან დაოსებულნი, სიცვიითა და სიღატაკით ათროლებულნი რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც მიწვევია, ჯერალდინა. იმ ჯადოსნურ დამებში, შენ რომ ჩემს ზღაპრებთან იძინებდი, მე არ მეძინა. დაეყურებდი შენს საყვარელ სახეს, ვუსმენდი შენი გულისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხებოდი:

„ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი შენ ოდესმე გაგიცნობს?“

შენ მე არ მიცნობ, ჯერალდინა... იმ შორეულ დამებში უამრავ ზღაპრს ვეყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიამბია. ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშვიდი მასხარისა, ლონდონის დატაკა კვარტლებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი, მოწველებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი!

მე ვიცი, რა არის შიშისმილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახელოება! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა, რომლის მკერდში მობობოქრე სიამაყის ოკეანე სამოწველოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცოტას ლაპარაკობენ.

შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ღამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელ დედამიწას აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტრია, ჯერალდინა. სამყარო, სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როლი!

ჯერალდინა! შუაღამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება, ცოლი

უფხვიერად ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ, რომ თავიანთი პირმშოსთვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში.

მე ბანკში ნათქვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ ყველას ზუსტად გადაუხადე! დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დათავალდებულ იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქერივობლებს შეხედე და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!“

ღიახ, შენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ჩემო გოგონა. ხელოვნება, სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს უბობებდეს ადამიანს, ჯერ ფეხებში ურტყამს.

როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მაღლები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭრე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცი რომ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს – შენს მსგავსს, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს.

შენი თეატრის პროექტორების თვალისმოჭრულ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროექტორი მთვარეა. დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამბრტყი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს...

ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ...

მე არ მინდა, ოდესმე სიღატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიზღავნი ჩემს წიგნს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია, მოინდომო და ამ უცნობ დატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ.

ჯერალდინა, მე დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შეგცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრა, ჩემო გოგონა – ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოქზე.

შეიძლება ამ საღამოს თვალი მოგტაცოს

რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება, დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გამოუცდელებს კი ბაგირი მუდამ დალაცობს.

ნუ გაყვით შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვანათის, ხოლო როცა ჯამი დაკრავს და სიყვარული გაწვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული. სამუშაო ძნელი გაქვს, ვიცი... სხეულს სიფრთხილად აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს.

ხელოვნების სახელით სცენაზე შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო უმწიკვლო და შემოსილი უნდა დაბრუნდე...

მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ უდვოს, მაგრამ მაინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა გაუთვინოდეს, ვინც შენს გაშიშვლებულ სულს შეიყვარებს. რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მოძველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს... ჯერალდინა, მე მინდა, რომ შენ ამ შიშველთა კუნძულის უკანასკნელი ქვეშევრდომი იყო.

მე ვიცი, მამებს და შვილებს ნიადავ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე, ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობადადე სასწაულების დამეა. მინდა მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიყო ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავეზე მოხვიდე.

ახლა არ მინდა გული გატყინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე – იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი.

მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გოცონი, ჯერალდინა... შენი ჩარლი...

მანია ნიკოლეიშვილი თაა თუთბერიძესა და ბაიო ახალაიაზე სკანდალურ ინფორმაციას ასაჯაროებს

რატომ აიკრძალა 2006 წლიდან ციხეებში დამკვირვებლებისა თუ ექსპერტების შესვლა და რა მიზნით ჩაიგდეს ხელში ეს სფერო „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა? რა სახის ექსპერიმენტებს ატარებდნენ ნახო ახალაია და თაა თუთბერიძე საპატიმროებში? ამ თემაზე ექსპერტის ეროვნული ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი, მანია ნიკოლეიშვილი ex-pressinfo-თნ ინტერვიუში საუბრობს:

„მე მინდა, ამჯერად ვისაუბრო იმ სისასტიკეზე, რაც ციხეებში 2004 წლიდან ხდებოდა, მაგრამ არსებული მექანიზმების გამო გარეთ ინფორმაცია არ გამოდიოდა. მე, ფაქტობრივად, 2006 წელს მაქვს გაკეთებული ბოლო რამოდენიმე საექსპერტო დასკვნა, ამ პერიოდისა უკვე ისეთი ბარიერები აღიმართა, ციხეებში ვეღარ შევდიოდით, კანონით პირდაპირ აიკრძალა. ახლა ის, რომ იქ ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი იჯდა, ამაში დღეს ეჭვი აღარავის ეპარება. თუმცა, თუნდაც დამნაშავე იყოს ადამიანი, მას სჭირდება სათანადო მოპყრობა. სააკაშვილმა თავიდანვე დაიწყო სისასტიკე, თავიდანვე მიდიოდა თითქოს შურისძიება და როგორც კი შეიზღუდა გარედან შესვლა, ციხეები იქცა საკონცენტრაციო ბანაკებად. ამ დროს არსებობდა ადამიანი, რომელსაც თავისუფლად შეეძლო შესვლა, მაგალითად, თაა თუთბერიძე.“

სანამ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, მან შექმნა სპეციალური საბჭო, რომლის წევრებსაც შეეძლოთ ციხეებში შესვლა. ეს გახლდათ იდეოლოგიურად სწორი, მაგრამ მერე რა მოხდა, უკვე გითხარით, როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში, თვითონვე გააუქმა იგივე საბჭო. ამის შემდეგ ჩნდებიან გარკვეული პირები და მხოლოდ ისინი შედიოდნენ, მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტიდან“. რამდენი დასკვნაც მოვიდა ჩემთან, გაკეთებული იყო თაა თუთბერიძისა და ცენტრ „ემპა-

თიას“ მიერ. მოკლედ, ესენი შედიოდნენ, მონოპოლია ჰქონდათ ადებულები, ნახულობდნენ პატიმრებს და „აცხობდნენ“ ყალბ დასკვნებს. „ემპათია“ ძირითადად იყო ქილოლოგიები იყო დაკომპლექტებული, მაგრამ რატომღაც ექსპერტებად შეითავსეს. ამ შემთხვევაში უკვე ჩანდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინტერესები არასასურველი პატიმრების მიმართ.

მაგალითად, იყო ერთი ასეთი საქმე... მე მომმართავს ადვოკატი და მეუბნება, ერთ-ერთი ბრალდებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ციხესწამებს პოლიციის თანამშრომელს, ვითომ მან არაერთხელ სცემა. ტარდება ექსპერტიზა და პოლიციელის მიმართ იკრება საქმე. „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები, თაა თუთბერიძე და ბაიო ახალაია ამოწმებენ ბრალდებულს, ისინი წერენ ასეთ უცნაურ დასკვნას:

„ძლიერი ტკივილის რეაქციები, ბეგრების, სიტყვების, სახის მიმიკა, შესტიკოვანი და სახის გამომეტყველება მიუთითებს ძლიერი ტკივილის ტუმარტებაზე. ასევე ტრავმული მოვლენების დეტალური გადმოცემა და გადმოცემისას აფექტური რეაქციები, სახის ფერი, გამომეტყველება, მიმიკის თუ შესტიკოვანი სახით, სავარაუდოდ, მიანიშნებს მეტყველების სისწორეზე.“

ეს ადამიანი ლაპარაკობს, თუ როგორ სცემეს... სცემდა პირადად პოლიციის უფროსი ხელით და წიხლებით, მისი თავი ვჯგრა უკიდრან მერე პიროვნებას, რომელიც სახეზე არ დაუხანახავს. ბაიო ახალაია იმ პერიოდში „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელია. ახალაია-თუთბერიძე იყო დუეტი, რომელიც დიდ საქმეებს ატრიალებდა ციხეებში. ეს ყველაფერი დაიწყო 2004 წლიდან. ასრულებდნენ დაკვეთას და ამ დროს არავის არ აინტერესებდა, რა დღეში იყვნენ რეალურად ავადმყოფი პატიმრები.

მაგალითად, ავიღოთ მალხაზ ზედელაშვილის საქმე... მას თითქმის ყველა დაავადება სჭირდა, რითაც კი შეიძლება დაავადდეს ადამიანი და ამავე დროს გადაადგილებოდა ინვალიდის ეტლით. წარმოდებდა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ცეცხლსასროლი იარაღის შედეგად მიყენებული მოტეხილობები და ასე შემდეგ. უკვე გითხარით, ეს ადამიანი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა და ჰქონდა პილფეხისა, ანუ პერიოდული გულყრები. ის სპეციალურად არ ჰქამდა, რომ თავი აერიდებინა უხერხულობისთვის, თანამესაკენებს გაჰყავდათ ტუალეტში. მას ხელეტიც პარალიზებული ჰქონდა. ამ შემთხვევაში, სულ მცირე, კანონით არსებობს სახელის გადაადგილება. თუ ადამიანს არ შეუძლია სიარული და არ საკუთარი ხელით კეება, ის არის საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი? თუ არ არის, მაშინ შეიძლება შინაპატიმრობა. ჩვენ ყველანაირი ექსპერტიზა ჩავატარებთ, მაგრამ მაინც დატოვებს ციხეში. სხვათა შორის, ძალიან კულტურული პიროვნებაა, მაგრამ რაკი თქვა, კანონიერი ქურდი ვარო, ამის გამო ჩავადგეს ჯოჯოხეთში. რატომ დაიწყო ციხის ბუნტი? როგორც მე მითხრეს, მალხაზ ზედელაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზა ამ შემთხვევას სულაც არ თვლიდა კატასტროფად, ზედელაშვილის მდგომარეობას ვერაფერ ვერ ხედავდა. აი, ამაზე თუთბერიძე არაფერს ვერ წერდა, მისთვის მიუღებელი იყო. მე გარკვეული ვიყავი, სანამ ამ ადამიანის მდგომარეობა საკუთარი თვალთ არ ვნახე, მაინც ვერ დავიჯერე.

თუთბერიძის მავნებლობა და გაყალბებული დასკვნები აუცილებლად არის გამოისაძიებადი... დღეს ეს „პროფესორი“ ქალი დგას და აქვთ ვემოძღვრავს, თურმე დღევანდელი მთავრობა ვიდაცების პირად ცხოვრებაში ერევა. ღმერთო ჩემო, პირადი

ცხოვრება კი არა, ციხეებში ხალხს ხოცავდნენ. ნამდვილად ასე იყო, დასკვნები ყალბდებოდა, დღეს უნდა ინახოს, რას აკეთებდნენ ეს ადამიანები.

მაგალითად გეტყვით კიდევ ერთ ფაქტს: კობა შუშანაშვილი – კანონიერი ქურდის, ლაშა შუშანაშვილის ძმა, რომელსაც ქურდობასთან არანაირი შეხება არ ჰქონია, ეს წესიერი ადამიანი ჩაავადეს ციხეში მხოლოდ თავისი ძმის გამო. კობა შუშანაშვილს განუყოფელი გულის იშემიური დაავადება, არითმია, შაკაში, ნევროპათია და ასე შემდეგ. პერიოდულად ეწყებოდა შეტევა, შედიოდა კარდიოლოგი, აშკარად ჩანდა მოციმციმე არითმია, მისცემდა წამალს და მაინც ტოვებდნენ ციხეში, რადგან იყო მიყვანილი.

მაგათთვის სულერთი იყო, ადამიანი მოკვდებოდა თუ დარჩებოდა, უფრო სწორად, პატიმარს ადამიანად არ აღიქვამდნენ, ძალიან ბევრი საქმეებია ჩემთან, უბრალოდ მკითხველის დატვირთვა აღარ მინდა დიაგნოზებით.

ვიმეორებ, 2006 წელს ჩავატარე ერთი-ორი ექსპერტიზა და ამით მორჩა, იმის მერე რა ხდებოდა, ხომ წარმოვიდგენიათ? უამრავი დაიღუპა, უამრავს ჰქონდა ნაწილები. ცემის შემდეგ ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ დაკარგა სიარულის უნარი.

ამათ ერჩივნათ, ყველა ჰყოლოდათ ციხეში, თანაც დანაშაულებულ მდგომარეობაში. თუკი თუთბერიძე არ დაგიწერდა დასკვნას, ვერაფერს ვერ დამტკიცებდი. აი, როდესაც ასეთ რადაცებს ვყვები, მე თვითონ ვითრგუნები, ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ ასეთი რადაცები სინამდვილეში ხდებოდა. „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები უკვე ისე იყვნენ გათავისებულნი, ერთხელ გოგა ონანინმა მე-7 საპყრობილის დირექტორსაც კი გაატყვა და დატყერით ემუქრებოდა“, – განაცხადა ნიკოლეიშვილმა.



ინდოეთში ფორმირების გამოცდები სპორტულ

ინდოეთი წარმოუდგენელი კონტრასტების ქვეყანაა - რას არ ნახავთ აქ - შვიდგარსკვლავედიანი სასტუმრო "აშოკა", რომლის ბრწყინვალეობა თვალს წაართმევს წარმოუდგენელ კომფორტში მყოფ ადამიანსაც კი, და იქვე, სარჩოს საძებრად ნაგვის ბუნკერში ჩამკვრალი ჩამოძონილი წვირიანი ინდუსი. იქვე სხედან ფაკირები, რომლებიც კობრებს ათამაშებენ ზურნის ხმაზე, ტაჯ მაჰალის დაუჯერებელი სილამაზე და იქვე პატარა მდინარე, რომლის კალაპოტშიც წყლის ნაცვლად მასუთის-ნაირი მერალი შესქელებული შავი მასა მოიზღვანება, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ქარხანა და ქვის ზვინთან მიმჯდარი დედაბერი, რომელიც ნაქუჩით ამტვრევს ქვებს და ამზადებს ღორღს...

- იძულებული ვართ უარი ვთქვათ ტექნიკურ პროგრესზე და მამაპაპურად ხელით ვაკეთოთ ის საქმეები, რომელსაც უკვე ტექნიკა ასრულებს, რადგან ინდოეთის მოსახლეობის რიცხვი კარგა ხანია გადასცდა მილიარდს და ამდენ ხალხს თავის რჩენის საშუალება უნდა მიეცეთო, - ამბობენ ინდოელები.

მოკლედ, არსად ისე მშვიდობიანად არ თანარსებობენ სილამაზე და სიმანხვე, სისუფთავე და სიმკრძაღვ, მაღალი ესთეტიკა და ბარბაროსული ნიშნები, ტექნიკური პროგრესი და შუასაუკუნეობრივი მენტალიტეტი, როგორც ეს დღევანდელ ინდოეთშია.

და კიდევ ერთი საინტერესო "ინდური" ინიციატივის შესახებ:

BBC-ის ცნობით, ინდოეთის ხელისუფლებამ დედაქალაქ დელიში ძლიერი კვამლის გამო სადღესასწაულო განათების, ე.წ. ფოიერვერკების გამოყენება აკრძალა.

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ინდოეთის დედაქალაქში პაერის დაბინძურების გამო, ბავშვებს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ.

ნოემბრის დასაწყისში, დივალის დღესასწაულზე ფოიერვერკების გამო, ძლიერი კვამლი და ნისლი გაჩნდა, რომელიც ერთი კვირის მანძილზე არ დაიშალა. გამაცემის თანახმად, სამი დღის განმავლობაში დღესასწაულის ორგანიზატორებმა და მისმა მონაწილეებმა უზარმაზარი ფოიერვერკები გაუშვეს.

ინდოეთში პაერის დაბინძურების დონე დასაშვებ დონეს თითქმის ათჯერ აღემატება, რის გამოც მოსახლეობაში პანიკა დაიწყო. წლის ცივ პერიოდში დელიში პაერი განსაკუთრებით დაბინძურებულია.

უკრაინიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია იბეზება

უკრაინიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია იბეზება, ამის შესახებ გახუთი "ვერსია" წერს.

"დღეს სააკაშვილი პოლიტიკური გეგმა", - აცხადებს "ვერსიასთან" საუბრისას კონფიდენტი და ყურადღებას ერთ გარემოებაზეც ამახვილებს. კერძოდ, ამბობს, რომ სააკაშვილის პოლიტიკური ავანტიურა ყველაზე ძვირად იმ ქართველებს დაუჯდებათ, რომლებიც ყოფილ პრეზიდენტს სიტყვაზე ენდნენ და უკრაინაში "გადაპორტირდნენ".

"ახლა, ისე არ გამოვით, რომ დავით სავარელიძესა თუ ხატია დეკანოსიძეზე ვწუხვარ - ეგენი არ დაიკარგებიან და თავს უშველიან. მე იმ ქართველ ოფიცერებსა და რიგით სამხედროებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომლებიც მიშას დაძახილზე უკრაინაში წავიდნენ და სამსახური იქაურ შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს. ჯერ ერთი, რუსეთ-უკრაინის ომში, ამ წლებში განმავლობაში, არაერთი ქართველი დაიღუპა. მეორეც, ახლა, როცა სააკაშვილის პოზიციები შესუსტებულია და ოფიციალური კიევის ელიტას მისი ატანა აღარ აქვს, როგორ წარმოვიდგინათ, "მიშას ხალხს" უკრაინაში გააჩერებენ?"

პირადი წყაროებით მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ადამიანებს გარკვეული პრობლემები უკვე შეექმნათ - ზოგი სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგი კი ღია ტექსტით უთხრეს, რომ მხოლოდ სამსახური კი არა, ქვეყანაც უნდა დატოვოს. ასე რომ, უახლოეს მომავალში ძალიან ბევრი ქართველი, რომელიც უკრაინაში მიშას დაძახებაზე წავიდა, იძულებული გახდება, სამშობლოში დაბრუნდეს. არ ვამბობ, რომ პორტუგალიის ხელისუფლება მათ პოლიტიკურ დევნას დაიწყებს, მაგრამ ისეთ პრობლემებს შეუქმნის, რომ იძულებული გახდებიან, ასეთი გადაწყვეტილება თავად მიიღონ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბევრს საქართველოში არ ჩამოესვლება, რადგან აქ დანაშაული აქვს ჩადენილი. მას კი, ვინც ჩამოვა, "შემშლილი სიკვდილი" თუ არა, უმუშევრობა ელის - კოპაბიტაცია ბოლოვებისთვის მოიგონეს, თორემ რიგით ადამიანებს, თუნდაც ისინი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით არ მიიღებენ, რომ მიშას უკრაინაში გაეკიდნენ", - ეუბნება "ვერსიას" ინფორმირებული კონფიდენტი და

ისევ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს უბრუნდება ანუ როგორც ჩვენი წყარო ამბობს, სააკაშვილს ოდესის გუბერნატორობიდან გადადგომა შეიძლება, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ პორტუგალიაში კუთხეში მიაყენა და აიძულა, ეს გადაწყვეტილება მიეღო.

"მიშა მოსიარულე ბოშია და ამიტომ, მის მოშორებას ყველა ცდილობს, მათ შორის, უკრაინის პრეზიდენტიც. სხვათა შორის, იმ დროს, როცა საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესი ყვაოდა, პორტუგალია უკრაინის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა ანუ ქართულ მხარესთან გარიგებებს ხელს სწორდებდა ის აწერდა. საქართველოსთვის იარაღის მომწოდებელი თითქმის ყველა საეჭვო კომპანია უკრაინული იყო. მართალია, ჰააგის ტრიბუნალისგან დიდი ხანია, არაფერი გვესმენია, მაგრამ ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, თბილისში პროკურორი ფატუ ბენსუდა ჩამოვიდა და ისიც ღიად ითქვა, რომ ჰააგამ აგვისტოს ომის გამოძიება დაიწყო, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ტრიბუნალი იარაღის ტრაფიკზე გავა. შეიძლება, ამ კუთხით გარკვეული სიახლეები არის, რაც პორტუგალიისთვის კულუარულად გახდა ცნობილი და სააკაშვილის თავიდან მოცილება ამიტომ გადაწყვიტა.

როგორც ჩანს, მიშაც ხდება, რომ მის გარშემო წრე ვიწროვდება და უკრაინის განმათავისუფლებლის როლს ამიტომ ასრულებს, ანუ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მისი, როგორც უკრაინული ოპოზიციის ლიდერის დაჯერება, შეიძლება, პოლიტიკური სარჩული დაედოს. ერთი სიტყვით, ყოფილ პრეზიდენტს პოლიტიკური დასაყრდენი სჭირდება", - ამბობს "ვერსიის" ინკოგნიტო რესპოდენტი და ხაზსასმით აღნიშნავს, რომ თავის გადარჩენის მიზნით, სააკაშვილმა შეიძლება, თავისი ყველა ყოფილი ბიზნესპარტნიორი "ჩაუშვას", მაგრამ მის ნათქვამს მტკიცებულებად კი არა, უფრო შურისძიებად ჩათვლიან, რადგან იგივე იარაღის უკანონო ტრაფიკი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან და მომგებიან ბიზნესად ითვლება, რომელშიც არაერთი ცნობილი და პატივსაცემი ადამიანია ჩართული.

"ამიტომაც ვამბობ, რომ მიშას, როგორც პაიკს, გაწირავენ", - მიიჩნევს "ვერსიის" კონფიდენტი.

პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში ნაკლებ მიიღე დანაშაულზე შინაპატიმრობა აპოქალიფა

არც თუ დიდი ხნის წინ ქართული ციხე ასოცირებული გახლდათ შუა საუკუნეების საწამებელ კაზემატებთან და ამაში გასაკვირი არაფერია - სულიერად მახინჯ სააკიანცს, ბოკერას, ადგიშვილს, თარგამაძეს და სხვა ნაციონალ არარაობებს სიმახინჯის გარდა სხვა არაფრის შეთავაზება შეეძლოთ საზოგადოებისათვის. თუმცა, ციხის საშინელებებს სხვა აზრობრივი დატვირთვაც გააჩნდათ - საზოგადოებას უნდა სცოდნოდა თუ რას ნიშნავდა ციხეში მოხვედრა და ყველაფერი უნდა დაეთმო იმის სანაცვლოდ, რომ ციხეში არ აღმოჩენილიყო, თუნდაც შეთითხნილი ბრადლებით. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა და მიუხედავად იმისა, რომ ვაკრტიკებთ "ოცნების" ხელისუფლებას გაუმართავი საკადრო და ეკონომიკური პოლიტიკისათვის, მათ დამსახურებებსაც არ ვუკარგავთ და ვემადლიერებთ იმიტომ, რომ ისედაც დამორგუნავი ციხე ნაკლებად საშიში და ასატანი გახადეს.

სახელმწიფოებრივების და პრობაციის ამჟამინდელმა მინისტრმა, პარლამენტის წევრების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა უწყების მიერ გატარებულ და გასატარებულ რეფორმებს.

კახა კახიშვილმა ასევე, არასრულწლოვანთა შინაპატიმრობის წესის ამოქმედებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში იგივე პრინციპი ამოქმედდება სრულწლოვან მსჯავრდებულებზე, რომელთაც ნაკლებად მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.

"მოგესხენებათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე უკვე ამოქმედდა შინაპატიმრობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის. ამავდროულად, მზად არის ინიციატივა და პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ აღვასრულოთ შინაპატიმრობის მოდელი სანქციის სახით სრულწლოვანი, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში მსჯავრდებულებისთვისაც", - განაცხადა კახა კახიშვილმა და განმარტა, რომ ეს მოდელი პატიმრების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს." - განაცხადა კახა კახიშვილმა.

ის ბიჭი აღარ არის...თავხალი მძლოლის ქმედებას შეენიკა - რატომ ხდება მოქალაქეებისთვის ზებრა საბედისწერო გადასასვლელი



თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. შემთხვევა დაახლოებით ერთი თვის წინ, კოსტავას ქუჩაზე მოხდა. 18 წლის ნიკა ყოლბაიას "ზებრა" გადასასვლელზე ავტომობილი დაეჯახა.

ერთ თვიანი მკურნალობის შემდეგ ახალგაზრდა გარდაიცვალა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ავარიის შემდეგ მძლოლი დააკავეს, თუმცა როგორც ცნობილია, იგი სასამართლომ გირაოს საფუძველზე გაათავისუფლა.

მომხდარს სოციალურ ქსელში უამრავი მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ინტერნეტმომხმარებლები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის გულგრილ დამოკიდებულებაზე წერენ. მათი თქმით, ზებრა გადასასვლელებთან ვითარება ქვეითი პატრულების მიერ არ კონტროლდება, რაც იწვევს იმას, რომ მძლოლები კანონს ხშირად არღვევენ, რა დროსაც ქვეითების უფლებები ირღვევა.

ცოტანი ბაზმასწორი: ზებრაზე რომ ადამიანს კლავ, მკვლელობა ხარ შე დედამორტუელი, აბა, ვინა ხარ? მოკლედ, აქ მანქანით თუ მოკალი ადამიანი - არც არაფერი... ფეხით მოსიარულე სრულიად დაუცველია!

ანიტა რაჭველიშვილი: ეს ბიჭი აღარ არის! შეუქნიშანზე გადადიოდა, "ზებრაზე" და მწვანეზე! მძლოლს არ უჩივის ოჯახი, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო! დაუსჯელობის სინდრომი დაღუპავს ჩვენს ქვეყანას!!! პრობლემა იმაშია რომ გიყვებით დარბიან ქალაქში, სადაც მხოლოდ ნელა მოძრაობაა დაშვებული, მერე არასდროს უთმობენ ქვეითს, არც "ზებრაზე" და მითუმეტეს არც სხვაგან! საჭესთან რომ ჯდები დიდი პასუხისმგებლობა გმართებს და თუ არ ხარ მზად პასუხისმგებლობა აიღო შენს და სხვის სიცოცხლეზეც, მაშინ ფეხით იარე! საწყალი ბიჭი! არ ვიცი რა. დაუთმე გზა ქვეითს "ზებრაზე"! მეტი კონტროლი გზაზე და მეტი სიმკაცრე ტარების მოწოდების გაცემისას!!!

გიორგი ონიანი: კიდევ ერთი ახალგაზრდა შეეწირა თავხელი და ნაგლი მძლოლის ქმედებას... ზებრაზე არ გაატარა ადამიანი და დაეჯახა... უბედურება ისაა, რომ იმ მძლოლს როგორც მკვლელს კი არ გასასამართლებენ, არამედ როგორც უბედური შემთხვევის მონაწილეს. სასჯელიც არ იქნება შესაბამისი... ჩემთვის ორივე მკვლეელია, ვინც ადამიანს უსწრაფავს სიცოცხლეს... რა მნიშვნელობა აქვს რითი მოკლა... სანამდე უნდა გააძვირდეს ინერტული დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ... ხალხი ეწირება და მთელი სიმკაცრით უნდა დაიწყო ქვეითი ნაბიჯების გადადგმა...სარჩევნო ხმების დაკარგვის შიშით ასეთ რამეზე თვალის დახუჭვა და არ რეაგირება დანაშაულზე... მოწოდებები არ მოქმედებს, რადგან 80 პროცენტს სინდის-ნამუსი და თვითშეგნება არ გააჩნია... სანამდე??? რამდენად კონტროლდება ე.წ. ზებრა გადასასვლელებთან ვითარება პოლიციის მიერ, ამის გასარკვევად ამბები.გე

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურს დაუკავშირდა. მათი ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები მაქსიმალურად ცდილობენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება უზრუნველყონ.

"საპატრულო ეკიპაჟები მაქსიმალურად ცდილობენ, უზრუნველყონ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, მათ შორის, ქვეითი პატრულები პიკის საათებში, ყველაზე გადატვირთულ ქუჩებზე ახდენენ მოძრაობის დარეგულირებას. გარდა საგზაო მოძრაობისა, ქვეითი პატრულები ასევე მუშაობენ დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.

თუმცა ის, რომ დედაქალაქში ან რეგიონებში არსებულ ყველა "ზებრა" გადასასვლელზე ქვეითი პატრული დავაყენოთ, ამის რესურსი, უბრალოდ, არ გააჩნია შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც ვალდებულება. გარდა ამისა, გზებზე არსებულ ვითარებას კამერები არეულირებს. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, შს-მ დაიწყო ახალი პროექტი „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“, რომლის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაგეგმილია ვიდეო ანალიტიკით აღჭურვილი, ე.წ. "ჭკვიანი" კამერების დამონტაჟება, რაც საგზაო შემთხვევების პრევენციას შეუწყობს ხელს და ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონების ხარისხს. გარდა ამისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ ვახორციელებთ სოციალურ კამპანიას მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით - "შენი გულდისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის". შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველას, დაიცვან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები", - აცხადებენ უწყების პრეს-სამსახურში.

გიორგი კვიციანი: ჩვენი საბანკო სექტორისადმი გაგვიჩინა სრული ნდობა!



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი...

პრემიერი კიდევ ერთხელ შეეხო მთავრობის მიერ...

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავარი...

გიორგი კვიციანი შეფასებით, ამ პროცესში...

„მინდა, გამოვეხმაურო იმ აბსოლუტურად გაუფრთხილებელ ბრალდებებს...

გიონში და არა მხოლოდ. ჩვენ გვყავს ძალიან მნიშვნელოვანი, განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები...

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი...

„ჩვენი საბანკო სექტორისადმი ჩვენ გაგვიჩინა სრული ნდობა, ვართ ძალიან მჭიდროდ კოორდინაციაში...

მორიდებული შეხსენება პრემიერს!

ამავე დროს, საგაზეთო რჩევა კვლავ ერთი ადამიანის ხელს მიჩერებულ საზოგადოებას

ეკონომიკა არ არის საბანკო საქმე. ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა არის წარმოება...

ასე რომ 3-4 საუკუნით დავივიანეთ. ნუ გაქვთ იმედი, რომ საქართველოს, რომელიც უკუღმართ გზას დაადგა...

დრო, ეპოქა საქართველოსთვის არ მუშაობს!

იყო დრო ადამიანთა საგრძნობლად დიდი ნაწილი ხბოს აღტკინებით გაიძახოდა: მილიონერები და მილიარდერები გვეჩვენებენ...

მიწასთან გასწორდა საქართველოს მიძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები...

უბრ ხალხს გვონა, რომ მილიონერები და მილიარდერები ციდან ცვივიან!

სწორედ საწარმოების ჯართად ქცევა და მიწების დატაცება ანუ სახელმწიფო-საერთო სახალხო საკუთრების დატაცება იყო და დღესაც არის წყარო გამილიონერ-გამილიარდერებისა...

თავის დროზე მეც, ისევე როგორც უამრავმა სხვამ, მხარი ბიძინა ივანიშვილს დაუჭირე და არც ენანობ – სააკაშვილის რეჟიმში უნდა დასრულებულიყო. საერთოდ, ჩემი პოზიცია ასეთია, ხელისუფლება რაც შეიძლება სწრაფად და სწრაფად შეიცვალოს...


რა მნიშვნელობა აქვს ლეკი რომელი ქვეყრიდან ამოვა – ლეკი მაინც ლეკია და მისგან ხეირს ნუ მოელოთ...

„ქველმოქმედმა და მეცენატმა“ რომელიც გაჭირვებულს ხელი გაუშარბო, ასე ვთქვათ, „მოუფინნა მჭადი და ყველი“, ამით ქვეყანას არაფერი ეშველება, რამეთუ მთელი ქვეყანაა დაქცეული და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გადატყველ-გამათხოვრებული ან ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საზღვარგარეთ გადახვეწილი...

მაპატიეთ სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთი „უკეთური“ სურვილით – გონს მოვევოთ.

შეადგინა როლანდ ჯალალანიამ

მოკლე მენსიურების დარღვევა, ყურადღების გაფანტვა, ლოგიკური მსჯელობის უნარის დაქვეითება – მარისხუნას შედეგები



ვერა და ვერ ავიდა მავანთა ტვინამდე ის ამბავი, რომ არ არსებობს მცნება „მსუბუქი ნარკოტიკი“...

გენეტიკური კოდი, ნარკოპოლიტიკის შესუსტება და დეკრიმინალიზაცია შეიძლება საერთოდ დამღუპველი აღმოჩნდეს...

საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი გოგავა ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევას ავრცელებს...

ამერიკის შეერთებული შტატების „ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტმა“ კვლევამ კანაფის რეგულარული მოხმარების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შედეგები გამოავლინა:

- 1. მოკლე მენსიურების დარღვევა;
2. ყურადღების გაფანტვა;
3. ლოგიკური მსჯელობის უნარის დაქვეითება;
4. შემცენებითი უნარის დაქვეითება;
5. მოძრაობის კოორდინაციის შენელება;
6. წონასწორობის დარღვევა;
7. ტახიკარდია;
8. მენსიურების დარღვევა;
9. შემცენებითი უნარის დაქვეითება;
10. დამოკიდებულება;
11. ქრონიკული ხველა, ბრონქიტი, ემფიზემა;

12. თავის, კისრის და ფილტვების კბობს მაღალი რისკი;

13. რეპროდუქციული ფუნქციის დაქვეითება მამაკაცებში;

14. მწველი დედების შვილები დარღვეული ნერვული სისტემით იბადებიან.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მარისხუნას მოხმარებენ, ბევრად უარესად სწავლობენ, ვიდრე მათი ნორმალური თანაკლასელები.

საგანგაშოა ის მდგომარეობაც, რომ ავტოავარიების მსხვერპლთა 11%-ის ტესტში მარისხუნის მოხმარების კვალი აღმოაჩნდა. ისინი გაცილებით უარესი მუშაკები არიან და ჯანმრთელობის პრობლემების გამო სამსახურს უფრო ხშირად აცდენენ. დიდი დოზების მიღების შემთხვევაში ჩნდება ტოქსიკური ფსიქოზი, პალუცინაცია, მანიები, დეიდოვიდუალიზაცია და თვითიღნებნითი სიკვდილი უნარის კარგვა. ადამიანი კარგავს ცხოვრების პოზიტიური მომენტებით ტკბობის შეგრძნებას და ბედნიერების შესაგრძობლად მარისხუნა სჭირდება.

აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც მძიმე ნარკოტიკების მოხმარებაზე გადავიდა სწორედ მარისხუნით დაიწყო. ნარკოტიკების (მათ შორის მარისხუნას) მოხმარებლები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი კრიმინალისკენ, რადგან ნარკოტიკული შიმშილის დროს მათი საქციელი ამოუხსნელია.

კატეგორიულად მოუდებელია მარისხუნის მოხმარების ლეგალიზება! ეს გამოიწვევს ქვეყნის ახალგაზრდობის ნაწილის დეგრადაციას. ქვეყნის ისედაც მძიმე დემოგრაფიული პერსპექტივა კიდევ უფრო დამძიმდება. ისედაც შეზღუდული შრომითი რესურსების ნაწილი ხარისხობრივად დაქვეითდება. კიდევ უფრო დაეცემა ახალგაზრდობაში განათლების დონე, დაინგრევა მათი ჯერ კიდევ ფაქიზი ფსიქოლოგია.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ნარკოტიკების ნებისმიერ სახეობასთან უკომპრომისო ბრძოლა და მისი წარმოება, რეალიზება, მოხმარება უნდა იყოს დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსით.

ყველა პოლიტიკოსი, ვინც მოითხოვს ნარკოტიკების ლეგალიზებას/დეკრიმინალიზაციას არის აბსოლუტურად უპასუხიმგებლო და არ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. მათი მიზანია იაფფასიანი პოპულიზმი ქვეყნის ინტერესების ზიანის ხარჯზე.

უნდა დაფიქრდეთ, რა უფრო სანუკვარი ჩვენთვის – ჩვენი შვილების ჯანმრთელობა თუ მავანთა ბოროტი ნებით „შემტენილი“ ევროლიბერლებებისადმი ბრმა თავყვანისცემა.

ქართველების მცირერიცხოვანი ერის ვართ და ერთი ახალგაზრდის დაკარგვაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისათვის

მუობლიური კერიის აპლოკინაზი

მიზანდასახულობის განსახორციელებლად საჭიროა ნებისყოფის სიძლიერე, უმთავრესად მიწის სიყვარული, წინაპართა ნალოლიავე ნაშრომ-ნაღვაწთა მოვლა-პატრონობა, სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება, იმ საქმის დიდი მონღომეობით შესრულება, რომელსაც ხელს მოკლებ. დიდი შრომისმოყვარეობა და მოყვანის ბედნიერებისათვის გაწეული ამავი ადამიანის ძალხუდ აახლოებს დასახულ მიზანთან.

ყველა ზემოთხაზოვლილი ნიშან-თვისება, მომეტებულად ახასიათებს საოცარი და უღვევი, დაუმრეტელი ენერჯის მქონე ადამიანს, 1947 წლის 29 სექტემბერს, აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარში მდინარე აბაშისპირეთის მიმხიდველ სანახებში დაბადებულ, წინაპართა ნაკვალევს უსახდვროდ მომფრებულ, სოფლის ცხოვრების ჭეშმარიტ გამხიარებულ, ინტელექტუალურ პიროვნებას, **ქალბატონ თინათინ სერგოს ასულ თოფურას**.

გარემო, რომლითაც მისი სულიერება საზრდოობდა, იყო ნიჭიერი და ღირსეული ადამიანებით გარემოცული.

თინათინ თოფურამ წარმატებით დაამთავრა აბაშის პირველი საშუალო სკოლა და სწავლას განაგრძო ქ. ქუთაისის უმაღლეს სასწავლებელში.

საკმაოდ ერუდირებულმა ადამიანმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ჩინებულ ქართველ ვაჟკაცს, განათლებულ ახალგაზრდას – გურამ ბარათელს. მათ სამშობლოს შემატეს ღირსეული შვილები: კახა და დავითი, ორივემ წარმატებით ადამიანურს სამართალმცოდნეობის ინსტიტუტის ოურიდიულ-ეკონომიური ფაკულტეტი.

შრომისმოყვარე ბარათელების ოჯახმა მიზნად დაისახა მათზე გადმოცემული მიწით გამოტენილი სარდაფიდან მიწის გამოხიდვა. სხვათა დაუმხარებლად, ოჯახ-

ის ოთხმა წევრმა საკუთარი ხელებით გამოიტანეს სამასი სატვირთო მანქანა მიწა და შექმნილი ფართი რამდენიმე თვეში კეთილმოაწვეეს კულტურული და სარიტუალო ღონისძიებების ჩასატარებლად დარბაზად.

ბარათელების თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნილმა, მხილველთა უსაზღვრო მოწონება დაიმსახურა და პრეზენტაციაზე ერთხმად, ნანახით აღფრთოვანებულმა ამ უნიკალურ, ხელოვნების ნიმუშებით დამშვენებულ დარბაზს **„ჯადოსნური ფერია“** უწოდეს.

სასოგადობის კმაყოფილებით შეიქმნა შთაბეჭდილებათა ალბომი, რომლის ერთი ამონარიდის გაუქმებაც საქმარისია სილამის აღსაქმელად. ერთერთი მათგანია:

„ღღვერძელობა, ქალბატონ თინათინ თქვენ და თქვენს ოჯახს, ამ ვეებერთელა კარგი საქმისთვის.“
ნიკო ჩიბოშვილი, მეცნიერი

მიუხედავად, ამ საოცნებო ნაშრომის სიდიადისა, მაინც იწინეს, იმდროინდელ ვაჩინოვნიკებისა და სხვისი ნაშრომის მუშაობის თვალთ მყურებელმა ავკაცებმა თავი და სამსახურობრივი მოვალეობის აშკარა გადატეგებით, სასამართლოზე შეწოდით, მიღწეული უკანონოდ გამოსახლების გადაწყვეტილების ფონზე, ძალისხიერი მეთოდებით 2007 წელს დახურეს ეს ხელოვნების ნიმუშად აღიარებული ნაღვაწი.

უპატრონოდ მიტოვებულ დარბაზს მაწანწალები შეესივნენ და იგი ვანდალიზმის კერა გახდა. საჯალალო და საგანგაშოა ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში, ქვეყნის ხელისუფალთა ცვალებადობისას არცერთ საჯარო მოხელეს არ გამოუჩენია დაინტერესება სიმართლის დასადგენად. ამ უსამართლობას თინათინის მეუღლის სიცოცხლე შეეწირა. მან უკანონო გამოსახლებისას,

პროტესტის ნიშნად, საწვავი ნივთიერება გადაისხა და დალია კიდევ, რამაც იოგები ძლიერ დაუხიანა და ყოველივე დასრულდა იმით, რომ ამგვარი დაზიანება ყელის კიბოში გადაიხარდა. საყვარელი მეუღლის დაკარგვამ ვერ შეარყია თინათინის მებრძოლი სული და, დიდი მწუხარების მიუხედავად, ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იგი დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. მთელი სითბოთი და სიყვარულით ელოლიაგება სოფელ მაცხოვრისკარის უმშვენიერეს უბანს, წინაპართა დიდრონი საუკუნოვანი ხეებით მდღარზე გაშენებული ვენახითა და ორსართულიანი ლამაზი, შთაბეჭდავი ვახით დამშვენებულ, ღია აივნებით გარშემორტყმულ პაპისეულ სახლ-კარს, რომელიც ისე მოაწყო, რომ მნახველების სავიზიტო ბარათს ეძახიან.

ქალბატონი თინათინი აქტიურად მოღვაწეობს. მისი დამსახურებაა აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლებში, ჩვენი უწმინდესის პატრიარქის ეგიდით, უნიჭიერესი მეცნიერის – ქართველთა საამაყო ქმნილების **„ვეფხისტყაოსნის“** მეგრულ ენაზე მთარგმნელი, დიდი მწიგნობარი ბატონი კაკა ჟვანიას შვილიშვილის ვახში ჟვანიას ხელშეწყობით დარიგება ახალი გამოცემის ვეფხისტყაოსნისა, თავისი დისკითურთ, სანუქრის სახით.

იგივე ქველმოქმედებით, **„ვეფხისტყაოსანი“** საუქრად გადასცა თითქოსდა სამასსოფროდ, გამომშვიდობების ნიშნად, ქ. ქუთაისის ყველა საჯარო და კერძო სკოლას, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებსაც.

თინათინის მონღომეობით, არასამთავრობო ორგანიზაცია **„აბაშელის“** ხელმძღვანელ ვახტანგ კეკელიასთან ერთად მრავალშვილიან ოჯახებში დარიგდა ჰუმანიტარული დახმარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის ცხოვრებით აღტაცებული თინათინის შვილიშვილი, ქალაქ თბილისის ოც-

დამოთხე სკოლის (სკოლის დირექტორი გია მურღულია) წარმატებული მოსწავლე, მონატრებული ბუბის თინათინის ორეული ლიზი ბარათელი, რომლის ცნობიერებაში მკაფიოდაა ჩადებული სოფლის ცხოვრების თითოეული წერილმანის დიდი სიყვარული: ფრინველთა თუ ცხოველთა, ბაღნაბაღებისა და სიმინდის ყანების მოვლა-პატრონობა და სხვა.

თინათინს მაინია, რომ მოზარდმა საკუთარი თვალებით უნდა იხილოს ხვნათესვით გამოწვეული თუ წიწილების გამოჩეკვით მიღებული ხიბლი. ეს იქნება დიდი მუხტი სოფლის ცხოვრების გაცნობიერებისა და შეყვარებისათვის, რაც აკეთილშობილებს ადამიანის სულიერებას. **„მღიერი სოფელი, ძლიერი სახელმწიფოა“.**

ქალბატონის თინათინის მოწოდებაა, რომ მიმქრალი კერიები გადვიდეს და ურთიერთხელ შეწყობით, ჩვენვე მოვიწყოთ ნათელი მომავალი.

ამ ქალბატონის სახლში ხშირად იკრიბებიან საინტერესო იდეებით განსწავლულნი მეცნიერების, პოეზიის, პროზის, მამულიშვილური სიყვარულის მატარებელი ადამიანები.

დღესდღეობით იგი თავდაუზოგავად იბრძვის, რომ ჩატარდეს აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში ფოლკლორული კულტურის ფესტივალი – ქუთაისის მერიის ხელშეწყობით, აბაშის ინიციატორებით. და ამ ფესტივალის ჩატარება აბაშაში ყოველწლიურ ტრადიციად იქცეს. ქალბატონ თინათინისა და მისი მხარდამჭერი მეგობრების სურვილია ამ ფესტივალს ჰქონდეს სახელწოდება – **„კლდეოთი კაცობრიობის ციფიზაციის კერა“.**

გთხოვთ, ყურად იღოთ ქალბატონ თინათინის მოწოდება და განიხილოთ დრო სოფელთან საკომუნიკაციოდ, ისევე და ისევე თქვენი ბედნიერი და შინაარსიანი ცხოვრებისათვის.

მალხაზ-ლაზარე ბრიბოლია

საჯარო სექტორიდან 30 ათას ადამიანს გაათავისუფლებენ?!

მომდევნო წლიდან საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, შესაძლოა, 30 ათასი ადამიანი შემცირდეს. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მთავრობის მიერ დაანონსებული ოპტიმიზაცია მნიშვნელოვნად შეცვლის დასაქმების სტრუქტურას. როგორც გაზეთი „რეზონანსი“ წერს, არც ისაა გამორიცხული, რომ კადრების გაშვება (როგორც დანიშნა) ნეპოტიზმის პრინციპით მოხდეს და სამსახურის მიღმა დარჩნენ ადამიანები, რომელთაც საჯარო სექტორში მფარველი არ ჰყავთ.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით, 2016 წელს 274,9 ათასს შეადგენს, რაც მთლიანად დასაქმებულთა 15,4%-ია. 2014 წელთან შედარებით, დასაქმებულთა რიცხვი საჯარო სექტორში გაზრდილია. 2 წლის წინ ამ სექტორში 251,2 ათასი დასაქმებული იყო.

თუკი მთავრობის დაგეგმილი ოპტიმიზაცია რეალურად 10%-ის ფარგლებში განხორციელდება, საჯარო სამსახურებიდან დაახლოებით 30 ათას ადამიანს გაათავისუფლებენ. ასე ვარაუდობს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე, რომელიც მთავრობას კერძო სექტორის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

“**ოპტიმიზაცია, რამდენადაც ცნობილია, შეეხება მხოლოდ საჯარო მოხელეებს, საჯარო სამართლის ოურიდიულ პირებს. კერძო სექტორი აბსოლუტურად თავისუფალია თავის არჩევანში. ჩვენ თუ გვინდა, რომ კერძო სექტორმა გადაიწყვიტოს როლი შეასრულოს თავისი აქტიურობით, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა უნდა იგრძნოს. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ სახელმწიფოს კმაყოფილება დამოკიდებულია კონტინგენტი შემცირდეს, თუკი პარალელურ რეჟიმში მოხდება კერძო სექტორში დასაქმების ზრდა. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ესტონური მოდელის შემოღება,**

რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას.

ინფლაციის მიუხედავად, მოსახლეობის შემოსავლების მატების ტემპი წინ უსწრებს მშპ-ს ნომინალურ ზრდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ უნდა ვფიქროთ, რომ ხალხს შემოსავალი არათუ შეუმცირდება, გაეზრდება კიდევაც, უბრალოდ, მოხდება სტრუქტურული გადაწევა და პერსპექტივაში ქვეყანას ეს მხოლოდ წაადგება.

რაც შეეხება უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს, ოპტიმიზაციის ფარგლებში მათი რაოდენობა, დაახლოებით, 25 000-დან 30 000-მდე იქნება, რომლის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, კერძო სექტორში გადაინაცვლებს“, – განმარტავს არჩვაძე.

რაც შეეხება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, სტატისტიკოსის შეფასებით, საქართველოში ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, რაც იწვევს კიდევ საჯარო სექტორში მომუშავე მოქალაქეების ხელფასების მიმართ აუიოტაჟურ დამოკიდებულებას.

“**საჯარო სექტორი, თავისი ნეპოტიზმით, მოგვაგონებს დასაქმების ბიუროს, სადაც დასაქმებულების შრომის ანაზღაურება გაცილებით მეტია, ვიდრე კერძო სტრუქტურებში. ამ მხრივ საქართველო ყველაწორმალური ქვეყნისგან განსხვავდება. არც ერთ ქვეყანაში საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურება არ არის ისეთი მიმხიდველი, როგორც საქართველოშია, შედარებისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო სამსახურში მოქალაქეები მიდიან იდეური მსოფლმხედველური ფასეულობის დამკვიდრებისა და ცხოვრებაში შენარჩუნების მიზნით. იქ ამ სვემენტში დასაქმებულთა ხელფასი ბევრად ნაკლებია, ვიდრე კერძო სექტორში იდებენ. ამან შექმნა ჩვენთან აუიოტაჟური დამოკიდებულება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მიმართ.**

დღეს ტრადიციასთან გათანაბრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც

სამსახურის დაკარგვა ადამიანებისთვის, განსაკუთრებით საჯარო სექტორში, ტრადიციის ტოლფასია. მეორე მხრივ, სახელმწიფოსთვის აუცილებელია, რომ რესურსი დაზოგოს. არა მგონია ოპტიმიზაციის შედეგად უმუშევრობამ მოიმატოს, რადგან გათავისუფლებულთა დიდ ნაწილს ალტერნატივა აუცილებლად გამოუჩნდება, თუნდაც კერძო სექტორში“, – განმარტავს სოსო არჩვაძე.

სპეციალისტების ნაწილი სტატისტიკოსის ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ეკონომისტებს მაინია, რომ საჯარო სექტორში ათასობით ადამიანის გათავისუფლება უმუშევრობის მაჩვენებელს გაზრდის, რაც სოციალურ ფონს დაამძიმებს და ქვეყნისთვის საბოლოოდ ცუდად დასრულდება.

ეკონომისტ პაატა არშიძის შეფასებით, ოპტიმიზაციის მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული ხარჯის შემცირება და არა დასაქმებულთა დათხოვნა, რაც მდგომარეობას გაართულებს.

“**ოპტიმიზაციის მიზანი, პირველ რიგში, საბიუჯეტო თანხის დაზოგვაა. პირველი მიმართულება შეიძლება იყოს საჯარო სამსახურში თანამშრომელთა დათხოვნა, მეორე – მათთვის ხელფასების კლება ან ორივე ერთად. საქართველოში სახელმწიფო სექტორში დასაქმება, ანაზღაურებიდან გამომდინარე, უამრავი ადამიანისთვის თვითმიზანია. თუ აქამდე საჯარო სექტორი მიიჩნეოდა გარანტირებულ სამუშაო ადგილად, ეს დამოკიდებულება შეიცვლება.**

გხედავ საფრთხეს, რომ კადრების გაშვებისას ისევე ნეპოტიზმის პრინციპით იხელმძღვანელებენ და კვალიერაციის გაუთვალისწინებლად, გაუშვებენ ისეთ თანამშრომელს, რომელსაც ახლობელი და მფარველი არ ჰყავს. ოპტიმიზაციის ფარგლებში ამ მხრივ პრობლემები გარდაუვალია“, – აცხადებს არშიძე.

ეკონომისტი არ არის მომხრე, რომ კადრები შემცირდეს, რაც მისი აზრით,

უმუშევრობის მასშტაბს დიდად გაზრდის.

“**თუკი ათასობით ადამიანის დათხოვნა სამომავლოდ არ შეეცვლება საჯარო სექტორს და დარჩენილები საქმის უპრობლემოდ გააგრძელებენ, გამოდის, რომ შტატები გაბერილი იყო. ესე იგი ოპტიმიზაციისთვის უფრო ადრეც უნდა მიემართათ, მაგრამ ამას არ აკეთებდნენ.**

წარმოდგენაც არ მინდა იმაზე, თუ რა დამართება სამსახურის მიღმა დარჩენილ ხალხს. ცხადია, კერძო ბიზნესში ვერ წავლენ, რადგან ასეთი დარგი ქვეყანაში ნაკლებად განვითარებულია. ეკონომიკური ზრდა კი ისედაც დაბალია. ვშიშობ, გამოთავისუფლებულთა უმეტესობა უმუშევართა არმიას შეუერთდება, რაც სახელმწიფოს ბუმერანგით დაუბრუნდება.

ჩემი აზრით, სოციალური ფონი გაუარესდება. მიიმე მდგომარეობაა და კადრების შემცირებაში ვერ ვხედავ გამოსავალს. უნდა შევიგნოთ, რომ სახელმწიფოში კრიზისია და ოპტიმალურად მოვექცეთ საბიუჯეტო სახსრებს, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მოსახლეობის ხარჯზე“, – აცხადებს პაატა არშიძე.

საგულისხმოა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯები 68 მლნ ლარით არის გაზრდილი 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან მიმართებით ფარდობითი მაჩვენებელი, 2016 წლის მსგავსად, 29%-ის ნიშნულზე ნარჩუნდება. უშუალოდ შრომის ანაზღაურებისათვის 2017 წელს ბიუჯეტიდან 1,443 მლნ ლარის გამოყოფა გათვალისწინებულია, რაც 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელს უტოლდება. შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდა არ შეიმჩნევა ცალკე აღებული სამინისტროების შემთხვევაშიც, გამონაკლის შემთხვევებში კი ზრდის მაჩვენებელი უმნიშვნელოა.

მარი ჩიტიია, გაზეთი „რეზონანსი“

“კოტეხ და დათოს ცხოვრება გვიჩვენებს რამდენად მძიმეა მათი მდგომარეობა”



წლებადღეობის ნომერი გამორჩეულია საიუბილეო თარიღებით: 17 ნომერს 90 წელი შესრულდა კოტეხ მახარაძის დაბადების დღე, 18-ში კი - დათოს ყიფიანის 65 წლისთავი...

კოტეხ და დათოს ცხოვრება ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს - ორივე საოცრად ნიჭიერი, მრავალმხრივ განვითარებული, უზომოდ პოპულარული იყო და ნიშანდობლივია, რომ მათ იუბილეებსაც ერთი დღის სხვაობით აღენიშნათ...

როგორ იყო “ნამდვილი” კოტეხ მახარაძე - სცენის, კადრის, მიკროფონის მიღმა?

ძალიან თავმდაბალი. წარმოუდგენელია, თანამოსაუბრისთვის რამდენად ვერტიკალი იყო, რომ მასზე მადლა იდგა. არადა, ის იყო განუმეორებელი უნიკალური, რომელიც წარმატებით იბრძოდა მრავალ ფრონტზე და კოლეგებზე ერთი თავით მაღლა იდგა...

უდიდესი სახელი. მე და ჩემი მეუღლე ბედნიერი ვართ, დიდი ხნის განმავლობაში რომ ვიყავით კოტეხ, სოფიოს, დიდი ვერიკოს გვერდით...

ცნობილია, რომ კოტეხ მახარაძეს გამორჩეულად უყვარდა დათოს ყიფიანი...

დათოს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, მსოფლიო მასშტაბის ვირტუოზი. კოტეხ მართლაც გამორჩეულად უყვარდა და უხვად აჯილდოებდა იმ ეპოქებში, რომელთაც სხვებისთვის იშვიათად იმეტებდა...

ყიფიანს ეპიბურთებით ანებივრებდაო... გაიხსენებთ რომელიმეს?

კინოფილმ “დიმილის ბიჭების” მეტ-სახელები ხომ გახსოვთ? დათოს ყიფიანი კოტეხისთვის ფეხბურთის “ჭეკოსელოფა” იყო. ვერ გამოვიდა, ასეთი რა ახროვდება აქვს, მოედანს ასე როგორ ხედავსო! აღფრთოვანებული იყო ყიფიანს დიაგნოზი, გამჭოლი პასებით, მოძრაობითა თუ დილონტურით ტექნიკით...

რაში იყო კოტეხ მახარაძის რეპორტაჟის მთავარი სიბზილი - ხმის ტემბრი, ამოწმებული სიტყვითა მარაგი, ემოცია?

ყველაფერი ერთად: გენიალური ხმის ტემბრი, ცოდნა, უნიკალური მესიერება... თეატრში ყველას როლი ზეპირად იცოდა და თუ ვინმე რეპეტიციას აცდენდა, კოტეხ სთხოვდნენ დახმარებას. ყველას ესმარებოდა საქმით, სიტყვით, მატერიალურად... არა მხოლოდ საფეხბურთო რეპორტაჟები, ოლიმპიური თამაშების მრავალი სახეობაც

მიჰყავდა. მათ შორის - რუსულ ენაზეც! - თანაც, ორივე ენაზე წარმატებით...

თუნდაც ამიტომ იყო უნიკალური ადამიანი. განა იდეალურად უძღვებოდა რეპორტაჟებს როგორც მშობლიურ, ისე რუსულ ენაზე! ბუნებრივია, ჰქონდა ქართული აქცენტი, მაგრამ რუსმა კომენტატორებმაც მაინც აღიარეს საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო რუსულენოვანი კომენტატორად...

ეროსისთან როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

განუყოფელი მეგობრები იყვნენ. კოტეხ სულ თვალში უყურებდა, აღტაცებული იყო მისი ნიჭით, ხმის ტემბრით... ასე ვიყავი მეც - ვცდილობდი, ხმის ტემბრი კოტეხისთვის მიემსგავსებინა... აღსანიშნავია, რომ კოტეხ მახარაძე პირველად სწორედ ეროსიმ მიავლინა კომენტატორად. 1957 წელს თბილისში გასამართი საქართველოს და აშშ-ის ნაკრები გუნდების საკალათბურთო მატჩისთვის კომენტატორს ეძებდნენ. ეროსის მხოლოდ საფეხბურთო მატჩებში მიჰყავდა და მეგობრის კანდიდატურა დაასახელა - კალათბურთშიც ერეკვეა და ენამოსწრებელიც არისო. ასე წაიყვანა პირველი საკალათბურთო რეპორტაჟი კოტეხ მახარაძემ...

ეთანხმებით მათ, ვინც ფიქრობს, რომ ქართულ სპორტს დღეს სწორედ ძლიერი ადამიანები აკლია? ისეთი პიროვნებები, როგორც იყვნენ კოტეხ მახარაძე, დათოს ყიფიანი, კახი ასათიანი...

არ ვიცი, კიდევ როდის გვეყოლება კოტეხნაირი ადამიანი... გენიალური თამადაც იყო, რაც ყველა პროფესიაზე რომელიც... როცა ერეკვეაში ნიკიტა სიმონიანის 75 წლის იუბილე გადაიხადეს, სწორედ კოტეხ იყო ათასკაციანი სუფრის თამადა. მას არაერთხელ წაუყვანია ერეკვის “არარატის” საერთაშორისო შეხვედრების რეპორტაჟები და სიმონიანის ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. სიმონიანის იუბილედან ერთი კვირის განმავლობაში ნიკიტაზე კი არა, ყველა კოტეხს თამადაობაზე ლაპარაკობდა!

დათოს ყიფიანს დაფურცლდით: რეპორტაჟების ამპლუაშიც შეხვედრიხართ? - დათოს ჩემი უმცროსი მეგობარი იყო.

კოტეხს მსგავსად, მასაც ყველაფერი ეხერხებოდა - იყო გენიალური თანამოსაუბრე, უდალტო მეგობარი... 1989 წელს თბილისის “დინამოსთან” ერთად მთელი ისრაელი შემოვიარე და დათომ ყველა გაგვაოცა - თურმე, როგორი მორწმუნე კაცი ყოფილა...

როცა დათოს ყიფიანს წარმოიდგენთ, პირველ რიგში რა გახსენდებათ?

მეფე იყო მოედანზე! როცა ბურთი მას ჰქონდა, მშვიდად ვიყავით, ვიცოდით, რომ არასდროს არ დაკარგავდა ბურთს და შეტევას დილონტურ გაგრძელებას მოუძებნიდა! დათოს ცალკე გუნდი იყო და ასეთად დარჩა ჩემს მესიერებაში... მილანის “ინტერთან” 1:0 მოგებული მატჩის შემდეგ, ყიფიანი გამიჩინა იქცა იტალიელებისთვის. გარეგნულად ძალიან ჰგავდა სანდრო მაცოლას. როცა გაიგეს, როგორი ფეხბურთელი და ადამიანი იყო, ყიფიანს კი აღარ ადარებდნენ მაცოლას - ბედნიერია სანდრო, დათოს რომ ჰგავსო!

თანამედროვე ფეხბურთში როგორ ითამაშებდა დათოს ყიფიანი?

შეიცვალა სისწრაფე და ტაქტიკა, ფეხბურთი უფრო ათლეტურიც გახდა, მაგრამ დათოს ყიფიანი ისეთი ნიჭის პატრონი იყო, ყველა დროში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა!

ვცდილობდი, კოტეხისთვის მიმეზამო... რა ისწავლეთ მისგან?

ჩემს ცხოვრებაში იყო ორი მთავარი ადამიანი, ვისგანაც სულ ვსწავლობდი: ჩემი ძმა ირაკლი და კოტეხ მახარაძე. ირაკლი ძალიან ახალგაზრდა, 46 წლისა გარდაიცვალა და მას მერე ჩემი ზამკვლევი კოტეხ იყო. ის იყო ცოდნის ამოწმებული მადანი, საიდანაც ყოველდღე ვსწავლობდი რაღაც ახალს... კოტეხ მახარაძის სახელობის ქუჩა უკვე არის ფიქრის გორაკი, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩის ქვევით. ერთი მსახიობის თეატრი რომ დააარსა და მას ვერიკოს სახელი უწოდა, ხუმრობდა - გინესის რეკორდების წიგნში ვარ შესაყვანი, ჩემს თეატრს სიდედრის სახელი ვუწოდებო. ცოცხალი რომ იყოს, გინესის წიგნში შეყვანას კიდევ ერთხელ “შოთხ-ოვლა”, რადგან მისი და მისი სიდედრის სახელობის ქუჩები გვერდიგვერდ არის.

რატომ შეღებია

აჭარის ორ სკოლაში 2017 წლიდან აზნაურთა ენის სწავლება დაიწყება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის სახალხო დამცველის უნა ნანუაშვილის თხოვნის საპასუხოდ ინფორმაციას ავრცელებს, რომ მომავალი წლის დასაწყისიდან ბათუმში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერიაში ორ სკოლაში სკოლაში აზნაურთა ენის სწავლება დაიწყება.

სახელმწიფო მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ აზნაური ენის და იდენტობის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აზნაურთა მიმდინარე ოკუპაციის ფონზე.

„მაღლობას ვუხდით სახალხო დამცველს აზნაური ენის შენარჩუნების და სწავლების საკითხით დაინტერესებისთვის - საქართველოს სახელმწიფოსთვის მართლაც მნიშვნელოვანია ქვეყნის კონსტიტუციით ქართულთან ერთად სახელმწიფო ენად აღიარებული აზნაური ენის დაცვა და ამ მიზნით განსაკუთრებული ზომების მიღება. მინდა, ვაცნობო სახალხო დამცველს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია აჭარაში მცხოვრები ეთნიკურად აზნაური მოქალაქეებისათვის მშობლიური ენის სწავლების თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთან ერთად. შესაბამისად, მომავალი

წლის დასაწყისიდან ამოქმედდება ორი სკოლა - ბათუმში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერიაში. ამ სკოლებისთვის უკვე იდენტიფიცირებულია აზნაური ენის მასწავლებლები, აჭარის ხელისუფლების მიერ გამოყოფილია დაფინანსება.

დღეს არსებულ ვითარებაში - აზნაური ენის და იდენტობის დაცვა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ავთენტურია, ჩვენი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა მიგვაჩნია. ამიტომ, ამ მიმართულებით მომავალშიც ვგეგმავთ დამატებითი ნაბიჯების გადადგმას“, - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, აზნაურენოვანი აბიტურიენტებისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებს პროგრამა „1+4“, აზნაური ენის სწავლება მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 5 საჯარო სკოლაში მე-10 და მე-11 კლასებში არჩევით სავსად ისწავლება აზნაური ენა, როცა საჯარო უწყებების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციები და მასალები ითარგმნება აზნაურ ენაზე, მედიაში ასევე გადაიცემა ინფორმაცია აზნაურად.

ჩვენნი ბავშვის სახმის ვიზუალიზაცია ბავშვთაგან, თქვენ კი მოწივით პლანი და ვიდეო ტილიანი ლექსები

მარისხუნას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება რეჟისორი ამირან ამირანაშვილი:

„მე წინააღმდეგი ვარ - სადარბაზოს წინ რომ დაგხვდებიან ჯივრები, ჩაცუცქულები და მასტერკას მოგაწოდებენ - აპა ბიბა-ჯან დაგვეწვიო - მაგრა “გაგისწორდებათ”? ან თქვენი შვილი რომ მოვიდეს სახლში, დაბოლილი და ლაფშგადმობრუნებული - “გაგისწორდებათ”? მომავალ თაობაზე იფიქრეთ! ვეროპაში ასეაო. ვეროპაში ქუჩებიც სუფთაა და ფანჯრებიდან ნაგავს არაფერს ვხედავ. ქართველი მეფეები ეწოდნენ - მიტომაც ვიყავით კარგად, სულ ორიოდე მეფეს თუ დაასახელებ მართლა რომ რაღაც გააკეთა. წადი რა შვილო, დღინო დალიე, დაილოცე, ქალს მოეფერე, ჩაეხუტე, სვანეთი ნახე, ქუთაისში საჭაპური ჭამე, აჭარაში ზღვაში გაგრილდი, კახეთში ვენახში გაიარე, ვარძიაში შედი და დაფიქრდი. საერთოდაც დაფიქრდი, თავი იმითმე გაბაიო.

იუმორი

გამოვიდა ჟურნალ „აია“-ს

მომდევნო ნომერი (№20), რომლის

მთავარი რედაქტორია ბატონი

გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ

შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის

ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა

1.

ჟურნალის შექმნა შეგიძლიათ

სახალხო მოძრაობა „სამეგრე-

ლო“-ს წარმომადგენლობაში,

ზუგდიდში.

ტელ. 2-38-03-11

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

ბარლიხვალი სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუპოვა ომი მკვარს ნაყოფის წარმოებას, მის დაპირვას რომ სდილობდა. ღოგინი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფერობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნევროსს, ფსიქიურად დაავადებულებს, კუჭნაგს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, (კუჭ-პატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო. კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48. მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარკმ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია ბავშვთა მენეჯერი: 599-34-37-27 ტელ: 568-01-21-32 ბავშვთა ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით ავტორებს ემისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწილები ავტორებს არ უბრუნდებათ. ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge